


98

№ 10 კვ.



სსსპრება და ხელოვნება

№ 4 კვირეული ჟურნალი. 1911 წ. 2 იანვ. № 4

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ კვირეულ ჟურნალზე (გამოდის 12 დეკემბრიდან).

ცხოვრება და ხელოვნება

ფასი: წლიურად 5 მ.ნ. ნახევარი წლით 2 მ.ნ. 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

ფულის შემოტანა შემძლება ნაწილ-ნაწილად, არა ნაკლებ ათი შაურისა. რედაქციამ მიმართა ყველა ქართველ მწერლებს, მეცნიერთა და მხატვარ-ხელოვანთათვის — ნაწარმის მიღებისათვის. — განუყოფილებათა რედაქტორებს.

- პუბლიცისტიკა ფ. გოგიჩაიშვილი.
- სიტყვა-კაზმული მწერლობა შ. ანაგვისხიძე.
- (ბელეტრისტიკა).
- სიტყვა-წყობილი მწერლობა კ. მაყაშვილი.
- (პოეზია)
- პედაგოგიკა ალ. შდიგანი.
- მხატვრობა და ქანდაკება ი. ნიკოლაძე.
- ისტორია ს. კაკაბაძე.

- მედიცინა ვ. დამაშაძე.
- მუსიკა ზ. ფაღაიშვილი.
- დრამა ვ. შადიაშვილი.
- სასცენო ხელოვნება ვ. მესხიშვილი.
- კრიტიკა და ბიბლიოგრაფ. ი. ვართაგანი.
- ბუნების მეტყველება ს. იაშვილი.
- მიმოხილვა ვ. კუჩია.


რედაქტორ-გამომცემელი ნ. ლორთქიფანიძე

პირველ ნომრიდან დაიწყო ბეჭედა „როსტომიანისა“ (ფირდუსის შავშანესი) და შ. დადიანის დრამის „მღვიმეში“.

რედაქცია. თფილისი, სათავად-ახნაურო ქარვასლა თეატრის გვერდზე, ტელეფონი № 862. ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე თეატრის კასაში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში; ვოლოვინის პროსპექტზე ი. კიკნაძის წიგნის მაღაზიაში „Новая Ръчь“.

Адрес: Тифлисъ, Дворянская, д. дворянства, рядомъ съ театромъ. Редакцій „ჩხოვრება და ხელოვნება“ რედაქცია ღიაა — 10—3 ს.

7/85
K-98



სსოპრება და ხელოვნება

ზინაარსი: დეკანოზი დ. დამასიძე (ნეკროლოგი). შვიდობით მითხარ (ლექსი)
კ. აბაშისპირელი. „განი“ ფსიხოლოგიური ეტიუდი შ. არაგვისპირელი. გა-
ლახა (ლექსი) გოგია უაშვილა. სქესის საკითხი პროფ. ბუხტერევა თარგ. ისიძე.
შემადგემა (ლექსი) ბ. პელაშვილი. ხარი და ზეზელა 6 ლორთქიფანიძე. მიფო-
ცვა გრი-გრი. ბრეტანული სახალხო ჰოკზი: ბუღბუღი თარგმანი ალ. სარაჯიშვილი.
დღეს ეველა მიუვარს (ლექსი) ი. მჭედლიშვილი. ახალი ამბები გ. ა—ციხელი. მღვიმეში,
შ. დადიანი.




დეკანოზი დავით დამასიძე

1174

22 დეკემბერს დაბა ყვირილაში გარდაიცვალა მცხოვანი დეკანოზი დავით დამასიძე—ჩუმი და ნაყოფიერი მუშაკი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შეაღწია ხალხის სარწმუნოებრივ და ზნეობრივ აღზრდას. 1883 წელს მან დაიწყო ჟურნალი „მწყემსი“-ს გამოცემა და სიკვდილამდის მხნედ და დაუღალავად უძღვე-
ბოდა ამ ფრიად რთულ საქმეს. „მწყემსი“ ამ 27 წლის განმავლობაში თითქმის ერთად-ერთი ქართული პერიოდული გამოცემა იყო პროვინციაში ტფილისს გარედ. და ამიტომ ადვილი გასაგებია მისი მნიშვნელობა. თავისი აზრის განსახორციე-
ლებლად განსვენებული დეკანოზი შეუდგა მრავალ-ბროშიურების გამოცემას სარ-
წმუნოებრივ ზნეობრივ საკითხებზე. მისი ღვაწლი ამ მხრივ ძალიან დიდია.

გან ვენებული იყო ერთი საუკეთესო მამულიშვილთაგანი: გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა ჩვენს საზოგადო საქმეებს და სცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა ჩვენი ერის აღორძინების საქმეში. საუკუნო იყოს მისი ხსენება.



მშვიდობით მითხარ...

კ. აბაშისპირელი.

მშვიდობით, მითხარ შენ სამუდამოდ
გამომიწოდე გულ-ცივად ხელი,
და ფერმკრთალ ბაგემ წყნარად, საამოდ
წაიჩურჩულა ჩემი სახელი.

განთიადისას ვიხილე ტურფავ

კდება მოსილი ეგ შენი სახე;
თუ სამუდამოდ გამშორდებოდი
ახ, რისთვის შეგხვდი, რად დაგინახე!..

რად არ ისურვე, ჩემო სულის დგმავ,
ერთად გვეარნა ეკლიან გზაზე,
რად არ ინდომე, რომ ბნელი ღამე
გამთენებოდა შენ დანახვაზე?!


ცრემლით დასველდა მთრთოლვარე სიმი
გულშივე ჩაკვდა საამო ჟღერა,
კიდევ მაჩვენე შუქ-მფენი ღიმი,
თორემ ნაღველომა გული დასერა...

მშვიდობით მითხარ, უხმოდ გამშორდი,
აღმომხდა ბედ-კრულს კვნესა გულისა,
ჩანგს დასწყდა სიმი... ჩაკვდა აკორდი,
თვალს მოსწყდა ცრემლი სიყვარულისა...



იოანე მოციქული და დედა დავითისა
ჰლაკოგორსტის ნახატი

„გ ა ნ ი“.


 ქართველი
 პოეტების კავშირი

(ფსიქოლოგიური ეტიუდი)

შ. არაგვისპირელი.

I

... ეს შარშანწინ მოხდა. როგორც მოგეხსენებათ, მიყრუებულ ადგილის მცხოვრების ეგრედ წოდებულ ხელ მოკლე „ინტელიგენტის“ ჩვეულებაა, ყოველ მატარებელს მიეგებოს, თუ, რასაკვირველია, რკინის გზა ახლოა. ფიქრობს ინტელიგენტი: იქნებ გაზეთმა, ან ნაცნობმა, ან კიდევ თითონ მატარებელმა ახალი რამ მომიტანოსო, თორემ სიმშლით კვდება ინტელიგენტი სოფლად, რადგანაც სრულებით სოფლისთვის მომზადებული არ არის...

მეც სწორედ ასევე მემართებოდა. შუადღემდის ბავშვებს ვასწავლიდი. ხულარ მკითხავთ, როგორ?... დღესაც ვასწავლი, მაგრამ... თქვენ თითონ წარმოიდგინეთ რანაირად ვწითლდები, როდესაც ამ სიტყვას ვხმარობ... აგერ ათი წელიწადია ამ სოფელში ვარ და ამ ათი წლის განმავლობაში ერთი კაცი ვერ გამოვიყვანე წერა-კითხვის მცოდნე... ენების არე-დარევამ კი დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ...

...პო, სულ სხვა საგანზე გადაველი. მე მინდოდა მეთქვა, შუადღის შემდეგ აღარაფერი საქმე არ მქონდა, რადგანაც სოფლისთვის მომზადებული არ ვიყავ... ბარს, ნიჩაფს, თოხს ხელს წავავლებდი, თუ არა, მაშინვე ხელიდგან მვარდებოდა. წელი მწყდებოდა. სამეურნეო ცოდნა კიდევ მე არა მაქვს, რომ სიტყვიერად მაინც დავეხმარო მოწაფეების მშობლებს. ისენი კი დიდიდგან სალამოდის წაკუზულები ჩაჰბლმუვიან მიწას და წელში ვერ გამართულან. შუადღის შემდეგ მათი პაწაწინებიც იმათთან ერთად იმავე გარემოებაში არიან... სკოლაში იმისთვის აბარებენ ბავშვებს, რომ თავის სიღულჭირეს თავი დააღწიონ, და სკოლა კი ისევ იმ...

...პ, ისევ ვადვუხვიე საგანს!.. ეს ჩემი მოუმზადებლობის ბრალია. მართალია, ბევრი რაპორტების წერა მინდება, გაზეთშიაც კორესპონდენციებს ვუგზავნი ჩვენ ღვდელზედ, ღვდელი კიდევ ჩემზედ... ერთმანეთს კიდევაც ვუდანოსებთ ხოლმე. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენში... ისეთ უცნაურს რამეს შევთხუზავთ ხოლმე, რომ განცვიფრებაში მოხვალთ... შარშან, მაგალითად, ერთ ქელეხში შევიჯიბრენით ღვინის სმაში და მე ვაჯობე. ღვდელი ძლივს ჩავატარიეთ სახლამდის და „ფოფოდის ჩავაბარეთ“... მეორე დღეს ძალიან გაჯავრდა: როგორ თუ მასწავლებელმა ღვინოში მაჯობა და სოფლის სამასხარაოდ გამხადა?!.. „ფოფოდია-მაც“ კვერი დაუკრა: განა არ იცოდა იმ წუწქმა, რომ შენ უკვე ნასვამი იყავ და არაფერი სთქვაო“... მართალი იყო „ფოფოდია“. ზედაზე ბევრი იყო წირვის დროს მიტანილი და წირვის შემდეგ სამკვეთლოში ისა და მედავითნე კარგად შეზარხმდნენ. მიცვალებულის გასვენებაზე უკვე ენა ებლატებოდათ „წმიდაოს“ გალობაში და ფეხებიც ერეოდნენ. მე კი სადა ვჭამდი, მშიერი ვიყავი...

გაჯავრებულმა მოძღვარმა მაშინვე ეპისტოლე დასწერა „ბლალაჩინთან“ ჩემზე. ვითომ მე ხალხს ვუჯანყებ. ბლალაჩინმა არქიელს, არქიელმა „დრუბერნატორს“, დრუბერნატორმა კიდევ „პოპეჩიტელს“, პოპეჩიტელმა ინსპექტორს, ინსპექტორმა კიდევ მე...

მე, რაკი გავიგე წინაღვე მღვდელმა ჩემზე ბლალოჩინს მისწერა, მაშინვე კორესპონდენცია მივსწერე გაზეთში და მღვდელი გამოგილანძღე. რასაც ვიცი, ჩვენ შეჯიბრებაზე კრინტიც არ დავსძარი... მღვდელმა საპასუხო წერილი დასწერა, რომელშიაც მიპასუხებდა: მე აღძარი საჩივარი და მაშინ, მკითხველს, ეუწყება ჩემი და მასწავლებლის სიმართლეო... არც იმან მოიხსენია ნამდვილი სარჩული. ორივე გაჩუმებული ვიყავით განხეთქილების სარჩულის შესახებ...

...რაკი ინსპექტორი შემომეკითხა, მეც შესაფერი პასუხი დავსწერე: ვაუწყებდი ინსპექტორს: „მღვდელს ჰსურს სამრევლო სკოლის გახსნა... ხალხს აღელვებს... ხალხი ყურს არ უგდებს, რადგანაც ის ზნე დაცემულია (ეს ეგვიპტური შეთხუზუღია, რადგანაც სოფლისთვის დამახინჯებული სკოლა სულ ერთია... ამ სკოლას მღვდელი განაკებს თუ ეშმაკი.) და სამინისტრო სკოლის მომბრეა. რაკი სოფელთან ვერა გააწყორა, მიჰმართა საზიზღარ გზას და ეს ხომ თქვენ მაღალ-კეთილ-შობილების თვალის წინ არის გადაშლილი...

„ინსპექტორმა“ „პოპეჩიტელს“ მისწერა ჩემი „რაპორტი“, „პოპეჩიტელმა“ „ლრუბერნატორს“, „ლრუბერნატორმა“ არქიელს. არქიელმა კიდევ „ბლალოჩინს“, ყველამ თავთავიანთ დასკვნით და ბოლოს ჩვენმა მღვდელმა მიიღო ასეთი მოწერილობა ბლალოჩინისაგან: „გთხოვთ, მამაო კონსტანტინე, სამინისტრო სკოლის შესახებ არავითარი საჩივარი აღარ აღძრათ, და თუ გინდათ სამრევლო სკოლის გახსნა, თქვენ თითონ იზრუნოთ ამის შესახებ“... ეს მეხად დაეცა მღვდელს... მეკი...

...კიდევ გამოვეკიდე რაღასაც და... უკაცრავად, ეხლა აღარ გადვუხვევ და „ლაბასავით“ ლარს გავაბამ. .

II

ზემოდ აღნიშნულ წუმპეში ვჰყუბალაობთ ყოველ დღე, აგრედ წოდებულნი „სოფლის ინტელიგენტები“ და დიდად აღტაცებულნი ვრჩებით, თუ კი წუმპის შხეპებს შორს... შორს ვტყორცნით!... რომ სხვებიც შეითხუბნენ ამ წუმპით...

მღვდელს რო ასეთი მოწერილობა მოუვიდა, მე მაშინვე მხიარულად სადგურისკენ გავემგზავრე. მღვდელი შინ დარჩა. უთუოდ რამე ხაფანგის დაგებას მიპირობს, თორემ ისიც ჩემსავით არც ერთ მატარებელს არ გაუშვებდა უნახავად...

სრულებით არ მოველოდი ამგვარ შედეგს. ჩემ თორმეტი წლის აქ ყოფნის დროს ასეთი სიამოვნება არას დროს არ მიგრძენია, როგორც დღეს მატარებლის დახვედრით...

ნათქვამია: „ბედი თუ გაუღიმებს, მაშინ ერთი სასიხარულო მეორეს მოჰყვება“... სწორედ ასეც მოხდა...

დღეს ბედმა გამიღიმა კი არა შემომცინა, როდესაც მღვდელს კბილებში ლაგამი ამოსდეს... (მეშინოდა კი ძალიან...) და ეხლა კიდევ სიკო ვნახე... ეს კი ბედის შემოხარხარება იყო...

დღეს შემხვდა ჩემი უპირველესი მეგობარი სიკო... ჩემი სიკო, რომელიც ეს თხუთმეტი წელიწადია არ მინახავს. მე და სიკო გორის სემინარიაში, გათავებაშდის განუყრელები ვიყავით...

ერთად ვსწავლობდით, ერთად ვჰამდით, ერთად ვიძინებდით და ერთად ვსუნთქავდით. მხოლოდ „კურსის“ დამთავრებამ დაგვაშორა ერთმანეთი...

დღესაც ცხადად მახსოვს მე და სიკოს გამოთხოვება კურსის დამთავრების

შემდეგ; მე „ბოპეიტელთან“ თხოვნა დაწერილი ხელში მიჭირავს, ის კი დალონე-ბული ჩემ წინ სდგას და სადღაც გაიციქრება...

— სიკო, წავიდეთ, ერთად მივართვათ თხოვნა!..

— არა, ჩემო ლადო, შენ მთავარი თხოვნა.

— შენ?!..

— მე... არ ვიცი რას ვიზამ...

— როგორ, მასწავლებლობა არ გინდა?!..

— ჩემო ლადო, რა უნდა ვასწავლო სხვას, როდესაც თითონ არა ვიცირა?!..

— კურს დამთავრებული მაგას როგორ ამბობ?!.. ყველგან და ყოველთვის შენი მოწმობა განიჭებს მასწავლებლობას!

— მანიჭებს ჩემი მოწმობა, მართალი ხარ, მაგრამ ჩემი გონება კი არ მანიჭებს... მამაჩემი გლახია. ვიცი რა ცოდნაცა აქვს იმას. მართალია, ანბანი არ იცის, მაგრამ მე იმოდენა არ ვიცი, რაც იმან იცის. რა უნდა ვასწავლო სოფელში გლახს, როდესაც იმათზე ნაკლები თუ არა, მეტი არა ვიცირა... „ანბანი“? ეჰ, ჩემო ლადო, მწუხარე კილოთი შემომძახხა სიკომ და მხარზე ხელი დამარტყა: „ანბანი“ სოფელს ვერ ააშენებს, თუ „განი“ც ზედ არ მიაყოლე!.. და, აი, „განისა“ ჩვენ არა გაგვეგებარა...

სრულებით ვერა გავიგერა სიკოსი, და თვალე დაჭყეტილმა შევხედე...

— რას ჰნიშნავს შენი „განი“?.. შევეკითხე სიკოს...

— თუ გინდა გაიგო, დაფხრიწე ე „ბოპეიტელთან“ თხოვნა და ერთად წავიდეთ „განის“ საძებნელად...

— არა, ჩემო ძმაო, ძლივას დავწერე ეს თხოვნა, და მერე რო დამჭირდეს, იქნება, ველარკვი მოვახერხო... მერე კიდევ, „ან-ბანს“ „განი“ მოსდევს და სადღა უნდა ვეძებო და დრო დავკარგო?!.. სჯობია, თხოვნა „ბოპეიტელს“ მივართვა და „განიც“ „ან-ბანს“ მოჰყვება... შენც ამას გირჩევ!..

— მართალი ხარ, ჩემო ლადო, გორის სემინარია მაგაზე მეტს არას გვეუბნება... მე კი სოფლის ცხოვრება სულ—წინააღმდეგს გზაზე მაყენებს და მეუბნება: „ჯერ „განი“ ჰპოვე და შემდეგ „ან-ბანი“ თითონ მოჰყვება, თორემ „ან-ბანი“ ჯლიყინად დარჩება და სოფელს არას შეჰმატებსო“...

— მშვიდობით იყავ ჩემო ლადო, გისურვებ გამარჯვებას!.. მოწყენით მითხრა სიკომ და ზურგი მიბრუნა.

ამის შემდეგ სიკო აღარ მინახავს. ცამ უყო პირი, თუ დედა-მიწამ ველარა გავიგერა.

ხუთმეტმა წელიწადმა გაიარა ამის შემდეგ და, აჰა, დღეს შემთხვევით შემხვდა...

რასაკვირველია, ცას დავეწეოდი, როდესაც იმას თვალი შევასწარ...


დღემდის იმისი სიტყვები მაჯლაჯუნასავით მაწვა და მინდოდა გამეგო, რას ჰნიშნავდა იმისი „განი“...

III

— სიკო, შევეკირე პირველი თვალის მოკვრაზედ და გადავეხვიე!..

მაგრამ სიკომ ჩემსა და თავის შუა მარჯვენა ხელი უეცრივ აატარა, და მაგრად ჩასაკოცნელად დამზადებული ტუჩები ჰაერში გამიტყლაშუნდნენ...

შევკრთი... თითქოს ეს სიკო არიო?!.. ისევ ისეთი საღი, ლამაზი, ცოტა



უფრო მოსული... ნუ თუ თვალები მატყუებენ?!... სიკოა, თუ სხვა?!... ჩემ თავს...

— თქვენ ვინ ჰბრძანდებით?!... შემომესმა ამ დროს სიკოს ხმა: იქნება თქვენი ნაცნობი გგონივართ, მაგრამ მე არ გიცნობთ?!...

— როგორ, სიკო, განა თქვენ სიკო არა ხართ?!...

— სიკო კი ვარ, მაგრამ... თქვენ ვინ ბრძანდებით?!...

მე... აღარ გახსოვარ? ლადო ვარ!... გორის სემინარიაში...

— აა... ლადო... კაცო, როგორ არ მახსოვხარ... — გამაწყვეტინა სიტყვა და გადამეხვია...

— მაგრამ... ამათვალისწინებ-ჩამათვალისწინებ და... რა მაჯლაჯუნას დაჰმგზავსებინახარ?!... ველარ გიცანი...

ეხლალა მივაქციე ჩემ თავს ყურადღება და მართლაც მაჯლაჯუნას ვგვანდი: აბრანძილ-დაბრანძალი, ჭუჭყიანი, ჩამომხმარ-მოკუჭული... აბა, რა ვიქმნებოდი სიკოსთან შედარებით, თუ არა მაჯლაჯუნა.

— რას დამგზავსებინახარ, კაცო, რა მოგივიდა?!...

— რა ვქნა, ძმაო, ცხოვრებამ იცის!... გულის ტკენით ვუთხარი. მაგრამ ხომ დარჩები ჩემთან ცოტას ხნობით და მაშინ ყველაფერს გაიგებ. ხუთმეტი წელიწადია ერთმანეთი არ გვინახავს და...

— კარგი... კარგი... ეხლავე... შებრუნდა ვაგონში და თავის ხელ-ბარგი გამოიტანა... საღამომდის შენი ვარ... შემდეგ სადგურის უფროსისაკენ გაქანდა და ბილეთზე წააწერინა რომ მეორე მატარებლამდის ამ სადგურზე რჩება.

მე, აგერ, ხუთმეტი წელიწადია, ვეგებები მატარებლებს და დღემდის არ ვიცოდი, თუ იმავე ბილეთით შეიძლებოდა მეორე მატარებლით კანონიერად მგზავრობა. ამ უბრალო შემთხვევამაც კი გამაბრაზა ჩემ თავზე...

„მართლა და მაჯლაჯუნა ხარ“... უსიტყვოდ წავუბუზღუნე ჩემ თავს...

როცა სიკომ თავისი ხელ-ბარგი მიაბარა საღამომდის, ჩვენ მკლავ გაყრილები შინისაკენ წავედით ტკბილის ბაასით... ტკბილის ბაასით...

— ეს რა არის?!... გაკვირვებით შემეკითხა სიკო, როცა სკოლის ეზოში შევედით...

მივიხედ მოვიხედე, ავათვალისწინებ-ჩავათვალისწინებ და, მართლაც, რა უნდა ყოფილიყო ეს?!... მინგრეულ-მონგრეული, შუშების მაგივრად ჭუჭყიან დახეულ ქალღმერთებზე გაკრული, გვერდზე წამოწოლილი, ნახევრად ყავარ აყრილი და იმის მაგივრად წალამ-ჩალით დახურული რალაც შენობა გამეჩხირა თვალებში... კიდევ კარგი, ამ დღეს კვირა იყო, და ბავშვები არ იყვნენ ეზოში, თორემ იმათი დაბრანძული ტანისამოსი, შეთხუბნილი სახე სულ გამაგიჟებდა...

ხომ, ეს ოხერი, ყოველ დღე ვხედავდი და რატომ ერთხელ მაინც არ მეჩვენა ასე უმგზავსად... მინგრეულ-მონგრეულად, აოხრებულად...

ამ დროს გამოვიდა ჩემი ცოლი... მადლობა ღმერთს, ჩემი ცოლი ცოტა არ იყოს კვირის გამო ცოტა სუფთად იყო ჩაცმული.

გავაცანი სიკოს, და მაშინვე ოთახში შეგვიპატიჟა... ოჰ, რა ცოლი მყავს!... იმის დედმაბა ცხონდეს, რო ვგეთი აღამიანი დაბადეს.

საკვირველია, თითქოს სიკო იმისი ნაამხანაგარი ყოფილიყოს ისე აღტაცებით მიიღო და გული გადუშალა...

მეც გავმხიარულდი. სრულებით დამავიწყდა ჩემი წინა წუთები. სიკო ხომ მხიარული იყო და მხიარული...

— სიკო, მივმართე მხიარულად გატარებულ საუზმის შემდეგ, გახსოვს, როცა მე თხოვნა მინდოდა მიმეცა და შენც გირჩევდი... უარი სთქვი და მიპასუხე: ჯერ მე „განი“ უნდა ვიპოვოვო!

— როგორ არ მახსოვს!..

— მერე?!

— მერე, ჩემო ლადო, ვიპოვე და მას შემდეგ სოფელში მასწავლებლობა დაივიწყე...

მე სულ კითხვითი ნიშნად გარდავიქექე...

რამ გაგაკვირა?!.. აი, ეხლა ხომ ჩქარა საზაფხულოდ ბავშვებს დაითხოვე, გაბედე, მეწვიე და მაშინ ყველაფერს გაიგებ...

IV

...სიკო საღამოს მატარებლამდის ჩემთან დარჩა. ის ბათუმს მიემგზავრებოდა რაღაც ნამყენებისათვის... იმ დღეს მე ვერა გავიგერა: თუ მასწავლებელია, თავი როგორ დაანება თავის მოწაფეებს ამ გაცხარებულ „ეგზამენების“ წინა დღეებში... კიდევაც შევეკითხე... მაგრამ მოკლედ მიპასუხა: „თავისუფალი მასწავლებელი ვარ, რადგანაც „ან-ბანის“ მაგიერად „განი“ დგან დაივიწყე“...

საუზმის შემდეგ, რამაც ისე, ვენაცვალე ჩემს მეუღლეს, მხიარულად ჩაიარა, სიკომ სოფლის დათვალეობა მოინდომა.

დიდის სიამოვნებით ამოვუღექ მხარში და სოფელს ავუარეთ და ჩამოვუარეთ... მღვდელიც კი შეგვხვდა, ცნობის მოყვარეობით თვალები ააბლატუნა, რომ ასე მორთული სიკო მხარ და მხარ მომსდევდა, მაგრამ ახლო მოსვლა ვერ გაბედა. რა იცოდა საცოდავმა, როცა ესაც ჩემსავით მასწავლებელია, თუმცა იძახის „განი“-დგან დაივიწყე.. მაგრამ განიღვან დაწყობა ხომ არევე-დარევაა „ან-ბანისა“!.. ეჭვიც კი მომივიდა: „უთუოდ ლათიაობს, როგორმე ფულები ხელთ იგდო (მაშინვე სიკოს მამის სიმდიდრეზე ხშირად ლაპარაკობდენ) და ეხლა დასეირნობს“.. კიდევაც გავიმართე წელში უკვე გაბედულად დავუწყე ჩემი ხუთმეტე წლის შრომის შესახებ სოფელში. რასაკვირველია, მღვდელთან შეტაკებაზედაც...

ამ დროს ლექსომ შემოგვძახა: „მასწავლებელს გაუმარჯოსო“!..

— გაგიმარჯოს, ჩემო ლექსო, გაგიმარჯოს! მოდი ჩემი გულითადი მეგობარი გაგაცნო!..

ლექსომ ქუდი ხელში დაიჭირა და მოწიწებით მოგვიახლოვდა. სიამაყით ამევსო გული ლექსოს ასეთი თავდაჭერილობით და ზრდილობით...

სიკო უეცრივ მივიდა ლექსოსთან და ხელი მაგრად ჩამოართვა...


— კაცო, ქუდი დაიხურე, თორემ სრესით დაჰგლეჯ.

ლექსომ მაინც არ დაიხურა და უკან დაიხია...

უფრო სიამაყით ამევსო გული და თამამად წამოვიძახე: „როცა პირველად ამ სოფელში მასწავლებლად გამამწესეს, პირველად ლექსო მოიყვანეს სასწავლებლად. ლექსო ჩემი გაწრთენილია...“

— იმედია, ლექსოს „ან-ბანს“ ასწავლიდი?!.. ცოტა ღიმილით შემომეკითხა სიკო...

— როგორ არა, ბატონო, ღიმილითვე უპასუხა ლექსომ... „ჰაე—ჰომედის“ სულ ბურტყლი აგვადვენინა...



მე და სიკომ გადახიზარბარეთ ლექსოს ამ პასუხზე... ლექსომაც გაიკონკრეტა მზად ვიყავ სულში ჩამეძვრინა ლექსო. სიყვარულით მხარზე ხელი დავარტყი და ვუთხარ: ლექსო, დღეს ჩემთან ისადილებ?!

სადილი კი არა, რაც უნდა ეთხოვნა, მზად ვიყავ მიმეცა ამისთანა პასუხისთვის... ხომ ერთი სიტყვით დამახასიათა, როგორც გულმოდგინე მასწავლებელი.

— რა მოხარული ვარ, ჩემო ლადო, რო ამ ხუთმეტე წლის წინად შენი ნამოწაფარი ჩვენთან ისადილებს!.. გამხიარულებულმა წამოიძახა: „ე სოფელი ხომ დავათვალიერეთ. სადილის დროც არის და წავიდეთ... ლექსოც თან წავიყვანოთ...“

სადილი მზად ჰქონდა ჩემ ცოლს, მაგრამ ჯერ სუფრა არ გაეშალა. სანამ ჩემი ცოლი სუფრას გაჰშლიდა, ჩვენ „კლასში“ შევედით და დათვალიერება დავიწყეთ. სიკომ უბის რვეული და ფანქარი ამოიღო და ლექსოს სთხოვა: „გეთაყვა ლექსო, შენი გვარი და სახელი ჩამიწერეო“?!

— ჩემი სახელი და გვარი... ლექსო ბედუკაძე... შენ თითონ ჩაწერე!.. უპასუხა ლექსომ...

— არა, ჩემო ლექსო, შენი ხელით ჩაწერილი მინდა, თორემ წელანვე ჩაწერდი შენს სახელს და გვარს.

— რა გაეწყობა, თუკი მაგრია!.. წამოიძახა ლექსომ და ფანქარი და რვეული ხელში აიღო.

ატრიალა ორივე დიდ ხანს... შუბლზედ ღვართქლი გადასდიოდა... იმაზე ნაკლებ, არც მე... სულ დავსველდი თავით-ფეხამდის... როგორც იყო მოიმარჯვა ფანქარი და რვეული და ზედ დააწვა...

...ღმერთო რა ტანჯვა გამოვიარე?! ლექსოს კიდევ წურ-წურით ცხვირიდგან ოფლი წვეთებად რვეულზე დასცვიოდა... რალასაც ჰფხაჭნიდა... რალაც ლურსმულს ემგზავსებოდა...

რა გაუთავებელი იყო?!.

წამს სიკოს შევხედე და, იმის დაცინვითი ღიმილი რო დავინახე, შემეზიზნა სიკო, შემეზიზნა ლექსო და... ჩემი თავი ხომ ვლანძღე, რო სიკო სახლში მოვიწვიე.

— მობრძანდით, სუფრა მზად არის!.. ამ დროს შემოისმა ჩემი ცოლის ხმა... „ოხ, რა კაი დროს შემომეშველა ჩემი ცოლი!.. ვენაცვალე იმას მკერდში“!.. უსიტყვოდ წამოვიძახე და სიკოს გაბრაზებული თვალები მივაპყარ...

— კმარა, ჩემო ლექსო, წარმოსთქვა სიკომ, გუთნის კვალის გავლების დროსაც არ დაჰღვრიდი მაგდენ ოფლს, რაც ეხლა დაჰღვარე...

— მედა ჩემმა ღმერთმა მართალს ამბობ!..

...ღმერთმანი, ჩემი ცოლი—საოცნებოა. შესანიშნავი ჩიხირთმა დაემზადებინა... სადილობის დროს კიდევ ისე მომხიარულდა და სიკოც ისე გამხიარულდა, რომ წასვლა აღარ უნდოდა... მაგრამ მე შემეზიზნა და წამ-და-უწამ წასვლის დროს ვაგონებდი...

სადღურამდის გადავყვეთ: მე, ლექსო და ჩემი ცოლი... სამივე მიგვიპატიჟა თავის სოფელში... წავალ, თუ არა, არ ვიცი?!..

(დასასრული იქმნება).



გ ა ლ ო ბ ა .

გაგია უიშვილი.

ჟამსა ლოცვისას, ჩემს ტაძარში, საკურთხეველთან,
მთრთოლოვარე ხელებ აპყრობილი, ნელის ღუმლით;
მიველ მტირალი ცრემლის მფრქვეველ მაგდალინელთან,
ციოთ მომესმოდა იღუმალი ხმათა გუგუნნი.

იგი არ იყო მუსიკის ხმა, წყნარი სიმღერა,
საგარიჟრაჟო სირთა სტვენა მელოდიური
არც ჰორფეოსის ოქროს ქნარის სიმთ კრთოლვა, ჟღერა
და არც შემოქმედ ბეთხოვენის ჰიმნი? ღვთიური.

ის იყო ციურ ანგელოსთა გალობა ნელი,
ვითა ღუღუნნი ნაღვლიანი თეთრი მტრედისა;
სულის მშვიდობის, სასუფეველის მომნიჭებელი,
თვით ლოცვა წმიდა სასოების, ღვთისა დედისა.

ღბილ, სუბუქ ფრთებით ზე აღვმალლდი სოფლის მგმობელი
ნიავის რხევას მიმოქონდა ჩუმი ნაღველი;
ანგელოსთაგან მუნ ისმოდა საგალობელი,
მეც ვლოცულობდი... ვლოცულობდი ცრემლთა მთოველი.



სქესის საკითხი თანამედროვე საზოგადოებას უხერხულად და ს'ესობრივი აღზდა.

პ რ ო ზ . ვ . მ . ბ ე ნ ტ ი რ ე ვ ი .


თარგმანი.

ისიძე.

ამ უკანასკნელ ხანებში დიდა ხმაურება გამოიწვია გერმანულ ზრდავ. ერლიხის მიერ
ადმჩენილმა სამკურნალო საშუალებამ, რომელიც არჩენს კაცობრიობის ერთ უსშეკელს
სნეულებას, ეგრედ წოდებულ სიფილისს, ათაშანგს. ერლიხის ზრდავრატ „606“-საგან მოე-
ლა საზოგადოებას დად საკეთილს ზედმეჭმელების იმედებს ამყარებს სქესობრივ მოუთმენლ-
ობის (вoздeржaнiе) შედეგებზე და ელის მისგან კაცობრიობის ჯანსაღებას, გამომთელებას.

ამ სენათ ვაამუფათათვის სსენებულ სამკურნალო ადმჩენას თავის განსაკუთრებული
მნიშვნელობა აქვს. იმათ, ვინც გართულია თავისუფალ სქესობრივ ცხოვრებით, ახლა ადმ-
ჩენის წყალობით შიში აღარ ექნებათ ამ სნეულებას და ეს გარემოება მრავალს მათგანს
გაიტაცებს მოუთმენლობის, თავშეუკავებლობის გზაზე. ამ უკანასკნელთ კი სიფილისის გარ-
და მრავალგვარი საშიში, ხიფათი მოუვება ცხოვრებაში.

ჩვენი დროის საზოგადოებრივ ერთი უბედურებათაგანი არის ერთის მხრით მეტის-მე-
ტი განვითარება ცხადი და მალული პროსტიტუციის, როსკიპობისა და სერთო გარყვნი-



დებს ქალაქებში და მეორეს მხრით სსსტოვით გაგრძელებული ეოგელგვარი სამომავლო რიული ავთომყოფობანი. ეოგელივე ამს უნდა მიუმატოთ არა ნაკლებ გაგრძელებული სენი ორთავე სქესის ახალგაზდობის, განსკუთრებით ვაჟს, კგრედ წოდებული ფარული ბიწიერებას ახალგაზდობის: ანანიზში ჩუკუნება.

ასეთი არა ნორმალურ მდგომარეობის მიხეხეები უწინარეს ეოგელის ჩანკრგილია სქესობრივ სკაითხის სრულად უეურადღებოთ დატოვებაში სსზოგადობის, ღჯახის და სკოლის მიერ. სქემე ისაა, რომ ლიტერატურაც, ხელოვნებაც, და ცხოვრებაც მთელი სსზოგადობის ეეკლგან და ეოგელთვის ცხდათ ხაზს უსმენ სქესობრივ ურთიერთობის მცდურობას და სრულად არ უჩვენებენ და უთითებენ სქესობრივ ფუნქციების გაფრთხილებასზე და არ უმარტავენ სქესობრივ ცხოვრების მოვალეობას.

მეტია იმაზე ღაზარაკი, რომ მრავალი ასეთი ახალგაზდები, რომელთაც არ აქვთ შეშუშავებული სერიოზული შეხედულობა სკერთოთ სქესობრივ ცხოვრებასა და მხედ დამოკიდებულ მოვალეობაზე... აი ასეთებს იტაცებს სქესობრივ გარეუნილების ჯურდმულისაკენ ან მცდურ ამხნაგების რჩევა, ან მათ აღელვებს გამრეხელ რომხების კითხვა, ან თვატრებს და სხვა გასართობებში სსსიეგარული სტენების ხაზვა; ან კიდევ ისინი ისმენენ თავდაუტერელ ორზნოვან ბასს უფროსებისაგან; ბოლოს ვეღარ ითმენენ და იწეებენ მცადინობას ფარულ ბიწიერებით, რომელიც ასე ადვილათ გრცელდება არა წმინდა ოცნების და ცუდი ამხნაგების რჩეოთ.

ზორნოგრაფიული ლიტერატურა, რასაკვირველია, არა ნაკლები ბორტოვას, ვიდრე ცუდი ამხნაგების მკვლითი, მკვრამ ამ მხრივ უდიდესი ბორტოვა ის ეეკლასთვის კარხკეტილი ჯურდმულება სქესობრივ გარეუნილების, რომელთაც საროციპოებს ეძახიან. აქ გამეფებული ცინიზმის წყალობით არა თუ შესაძლებელია წმინდა სიუგარულის სახსებით გაცნობა, არამედ ამ გარეუნილების ბუდში, სდაც დედაკაცი, გასყიდს ნივთს უდრის, ზნეობრივით და ფიზიკურათ ისრწნება ახალგაზდობა და ამსთანავე გრცელდება ის უბედურება, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში ასე უძღურია სსზოგადობაც და მთავრობაც.

რით აიხსნება ეს ცხადზე უცხადესი ბორტოვა ჩვენი დროისა და რატომ უწყობს ხელს კანონი ამ გარეუნილების ბუდეს, რომლის საშუალებით მსწანკლობაც ეეხსეებს ავადებს და ჩვენი ახალგაზდობაც ირეფნება?


სამწუხროთ, ეს ხელის შეწყობა დამყარებულია უმთავრესათ ადამიანთა გონებაში ჩანერგილ იმ შემცდარ აზრზე, ვითომ სქესობრივი მოთმენა ჰსასკში მოსულ ახალგაზდობასათვის მხენებელი იყოს.

ის კი არა თუ, მთელი დარგი მეცნიერებისა გარკვევით ღაზარაკობს იმას, რომ სქესობრივი მოთმენა ნორმალურ ზირბებში არა თუ მხენებელია, ზირიქით ძირითადი ზირობას სქესობრივ ფუნქციების შენახვისა და ჯანმთელობისათვის.

ამ აზრის დღეს არის ექიმების უმრავლესობა რომელთაც სერიოზულათ აქვთ შესწავლილი სქესობრივი სკაითხა, და ვერ შეხვდებით ვერც ერთ ფაქტს, რომელიც გვიმტკიცებდეს სქესობრივ ფუნქციებისა, ისე სკერთოთ, მამაკაცის ჯანმთელობისათვის.


რაც შეეხება დედაკაცებს, იმათზე ცუდი გავლენა სქესობრივ მოთმენას სრულებით არ აქვს. გაგრძელებულია აზრი, ვითომ ქალიშვილებს სქესობრივ მოთმენის გამო ემართებათ და უგათარდებოთ ისტერიკა (სეუდის ქარი); მკვრამ ამ შემცდარ აზრს უარყოფს სტატისტიკა სკანცონისა, რომელიც ამტკიცებს, რომ ისტერიკა გათნოვილ ქალებს უფრო ხშირათ ემართებათ, ვიდრე გაუთნოვართ, და შვიდწყოლ ქალებს უფრო ხშირათ უგლისთ ეს სენი, ვიდრე ქალიშვილებს.

მგნამ თუ გი დამტკიცებულა უვნებლობა სქესობრივ მათმენის როგორც მამაკაცის, ისე დედაცაცათვის, მამ რა პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს მამაკაცის სქესობრივ ცხოვრებაში?



ტანჯული-წამებულნი განსაჯლისი ნასატო.

ამ სკაითხის გადასწვევით სსჭირათ სსხეში ვიქნით. რამ ძირითადი მიზანი სქესობრივ ურთიერთობაში უნდა იყოს განგრძობა მოდემისა ჯანსალ შთამომავლობის სახით. მეორე მხრით, რაგორც უფუელჯან და უფუელაფერში, ისე აგრეთვე სქესობრივ ურთიერთობაშიაც უნდა აუცილებელ ძირითად კანონად დავისახოთ, რომ არ მოვიმოქმედოთ ისეთი რამ, რაიც ავნებს და უსიამოვნებას მიაყენებს სხვას, მეორე პირის ინტერესებს. აქედან გი ცხადია, რომ ამ პრინციპებს უნდა ემორჩილებოდ-



დეს კულტურულ ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. ცხადია, რომ არ უნდა არსებობდეს თავისუფალი დამოკიდებულება სქესთა შორის ზნეობრივ და იურიდიულ ვასულის მგებლობის გარეშე. ლაზარაკიძე მეტია იმაზე, რომ თავისუფალ სქესობრივ კავშირის მავნებლობა განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ იგი რეჟიმის ადამიანის გზებს, მაინც რა სქესობრივი ცხოვრება აღემატება სურვილების დამაკმაყოფილებელ საგნად, იგი ათავისუფლებს მამაკაცს მამობრივ მოვალეობისგან, დედასაც უძრავს სურვილს დედობის წინააღმდეგ დანამუდობა ჩაიდინოს და ხანდახან კი აყენებს მას იღუმელ ანუ ცხად რასკიბობის გზაზე.

ამ შეხედულების მიხედვით ჩვენ უნდა გავვიცხოთ აგრეთვე მეტათ გავრცელებული სუფალება, რომელსაც ხმარობენ შთამომავლობის გატელების წინააღმდეგ, რადგან დანიშნულებაა დაიცვან ისეთი სქესობრივი ცხოვრება, რომელიც ათავისუფლებს ადამიანს ყოველგვარ მოვალეობისგან.

ახალი მატუსიანობა, რომელიც იცავს ამ სუფალებების გავრცელებას, თავით ისეთი მოვლენაა, რომელიც დამოკიდებულია დრმა, რანხრმაღურ სტრიაღურ მოვლენებზე და მას ესაჭიროება შესაფერისი შესწორება მის ზრქტიკულათ გავრცელების დროს მანც.

თავის თავით იგულისხმება, რომ ჩვენ წინააღმდეგნი უნდა ვიყოთ ამავე სფუფალების ძალით არა ბუნებრივ სქესობრივ მოქმედების, რომელიც ადამიანის სხეულში იწვევს მხოლოდ მგრძნობელობას, როგორც არის თანაზში, დომოსქესუაღიზში და მისთანები. ესენი კი მავნებელნი არიან იმ ზირთათვის, რომელნიც ამ ბიწიერებას ეწვეიან.

მეორე მხრით სქესობრივ ცხოვრებას, ურთიერთობას უნდა ერიდებოდენ ის ზირები, რომელნიც ჯანმრთელნი არ არიან, რადგან მათი ვათმეოფობა შთამომავლობაზე გადადის რომელიც სუსტი და ვათმეოფი იბადება. სქესობრივ კავშირს უნდა ერიდებოდენ აგრეთვე მშობლები ფენმძიმეობის დროს, რაც შთამომავლობის ჯანსაღობას ვნებს.


კითხვა იბადება, მშ რა გზით უნდა მიადწიოს საზოგადოებამ სქესობრივ საკითხს, დამოკიდებულების სწორს გადაწვეტილებამდის?

ცხადია, ახლგაზდობის შესაფერისი აღზრდით, რომლის დროს უეურადლებით არ უნდა დარჩეს სქესობრივი საკითხი, როგორც ეს დღემდე ხდებოდა.

დღეს, როცა სქესობრივი სფერა აღმზღელათ ხელმძღვანელობის გარეშეა დარჩენილი, საქმე ისეა დაყენებული, რომ ახლგაზდები ვერსაიდან იღებენ ცნობებს სქესობრივ ცხოვრების საკითხების შესახებ; ამ საკითხებს კი ისინი ყოველგან და ყოველ წამს ხვდებიან ცხოვრებაში. საზოგადოებაში კი ისინი ამის შესახებ ისმენენ უხეშ და სშირათ მეტათ ცინიკურ ახსნა-განმარტებას შემთხვევითი წყარებიდან, მაგ. მოსმსახურეთაგან, ან კადეგ თითონ უეურებენ მას შინაურ ცხოველების მოქმედებასზე.

მაგრამ ასეთი გაცნობა, რა თქმა უნდა, უმეტეს შემთხვევებში საბედასწერათ ხდება, რადგან ყოველივე ესენი უფითარებენ მოზარდს თცნებებს და უნერგავენ მას მისწრაფებას სქესობრივ კავშირისას, რომელიც არც მიზანს დაგიღვესთ სქესობრივ ცხოვრებაში და არც მის ზრინცაბებს: მისთავის სულ ერთია, თდონდ წუთიერი მგრძნობიერება დაკმაყოფილდოს. ამიტომ საჭიროა შემოღებულ იქმნას სკოლებში სწავლეობა ნამდვილ სქესობრივ აღზრდა მოსწავლეთა ჰასაკის მიხედვით. ამის შესახებ კი ლიტერატურაც უკვე არსებობს, საკითხიც გამორკვეულია, მაგრამ იგი განხორციელებას მანც კადე ვერ დირსებია რუსეთში...

ამ აღზდის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ყველასზე უწინარეს გაცნობა სქესობრივ ფუნქციების მნიშვნელობისა, აზრი სქესობრივ ურთიერთობისა და მოვალეობანი, რომელნიც თან სდევენ ამ ურთიერთობას, აგრეთვე ახლგაზდა ყოველხანრათ უნდა ცდილობდეს დახმოს თვისი სქესობრივი მიდრეკილება ქორწინებამდე.



შედეგებში სქესობრივი აღზდა უნდა იწყებოდეს 10—11 ბავშვობიდან და უნდა შეწყდეს დასრულების შემდეგ, რომელიც იმავე დროს გაცნობის მათ ჭიგეინის კანონებსაც. შედეგად კლასიკურად უნდა ასწავლიდეს ვაჟებს მამაკაცი, ხოლო ქალიშვილებს — ქეიმი-ქალი.

სქესობრივ აღზრდის საქმეში თავდაზირველათ მდაბიურათ უნდა გაცნოს მასწავლებლებმა მცენარეთა და დაბალ ცხოველების გამრავლების ზრცესები, მერე კი უმაღლეს ცხოველებს და ადამიანებსაც უნდა გადავიდეს. ამ გაცნობის დროს მასწავლებელი უნდა ერთდროს დაწვრილებით ცნობების გადაცემას და უნდა ცდილობდეს მოსწავლეები ამ საუბარს სერიოზულათ ეზერობდენ.

ამასთან ერთათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სქესობრივ მოთხოვნილებების გამოწვევა ზირობებს, რომელნიც აღძრავენ და აღეგებენ მოზარდეებს და სქესობრივ მოქმედებას და იდუმალ ბიწიერებას — ხანნიზმისკენ იწვევენ.

13—14 წლიდან საჭიროა აღმზდელმა გაცნოს მოსწავლეებს ზირობები და მნიშვნელობა საქარწინა ცხოვრებისა, რასაც მოჭევება შთამომავლობის განცდობა. ამასთანავე უნდა გაცნოს ეველა ზნეობრივი და იურიდიული მოვალეობანი, რომელნიც თანსდევენ სქესობრივ ცხოვრებას. ამ საუბრების ძირითადი მიზანი არის მტკიცედ გატარება იმ ზრინციზისა, რომ ახლოგაზდა არ უყურებდეს სქესობრივ კავშირს როგორც უბრალო დამაკმაყოფილებელ საშუალებას. მასწავლებელმა უნდა აუხსნას შევირდებს უხნეო მხარეები ასეთი დამოკიდებულებისა და ამავე დროს ისიც უნდა განმარტოს რომ სქესობრივი ცხოვრებით ერთი მხარე ზიანს არ უნდა აყენებდეს არც ზნეობრივათ და არც მატერიალურათ მერე მხარეს.

საჭიროა ამასთან ერთათ ახლგაზდა შედგრათ ებრძოდეს თავის სქესობრივ მიდრეკილებას, რომ მის ყურადღებას არ აზერობდეს გრძობიერების აღმძვრელი სურათები და განდევნოს კანებიდან მავნე ოცნებები ამა თუ იმ სერიოზულ საგნების შეცადინებით, გართობით. ხოლო გარდამეტებულ სქესობრივ აღძრულებიან დროს ახლგაზდამ უნდა მიმართოს ექიმის რჩევას რათა მან მიიღოს ზომები და ჩაქრის მეტის მეტი სქესობრივი აღეგება.

შემდეგ ექიმმა უნდა გაცნოს მოზარდებს საზოგადოდ უმთავრესი სქესობრივი ავითობანი და აუხსნას მათ წარმოშობის მიზეზები და ის მავნებლობა, რაც მათ მოყვება ადამიანის ჯანმთელეობისათვის.

თავის თავათ ცხადია, რომ სწავლება შედეგებში სქესობრივ ჭიგეინისა უნდა სწარმოებდეს განსაზდრულ და მტკიცეთ შემუშავებულ ზრცურამით, ისე, რომ ძირითად კანონს სწავლებისას უნდა შეადგინდეს საქმისადმი სერიოზული მოზერობა და განდევნა ყოველივე იმისა, რასაც შეუძლიან ზედ მეტათ აღძრას მოზარდთა ოცნება სქესობრივ მოქმედებისათვის.

ოჯახშიაც უნდა გატარებულ იყოს ესევე ზრინციზი აღზდისა ისე, რომ ქალიშვილები უნდა ეცნობოდენ სქესობრივ საკითხებს დედისაგან ხოლო ვაჟები მამისაგან.

ჩვენი აზრით საჭიროა შემოდებულ იქმნას სისტემატური სწავლება სქესობრივ გარეუნილებიან მავნებლობის შესახებ უმაღლეს სასწავლებლებშიაც სპეციალური კურსების დაარსებით, რომელნიც დაწვრილებით განუმარტვენ ახლგაზდებს სქესობრივ გაჯანსაღების საჭიროებას, სქესობრივ გარეუნილებიან ყოველივე ზირადულ და ბიოლოგიურ მავნებლობას და აუხსნან მათ ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

საჭიროა არ არის ვილაზარჩაკთ იმზე, რომ ეს კურსები უნდა შეიცავდეს საზოგადოებრივ საკითხებსაც, რომელნიც დაკავშირებულნი არიან სქესობრივ გარეუნილებასთან და ავ-

ქართული
საბჭოთაო

რეთვე უნდა ახსიათებდენ თანამედროვე საზოგადოების სქესობრივ საკითხის მდგომარეობას.

აღზდის მხრივ კიდევ ერთი საუბრადღებო საკითხი არის ქალვაჟთა შეერთებულ სწავლება. ვეელა ქვეყნების გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ შეერთებული სწავლება სქესების როგორც დახალ, ისე საშუალო შკალებში ძალიან სასარგებლოა ერთავე სქესის ზნეობრივ სიფაქიზისათვის. მეტის მეტი განცალკევება, მიუკარებლობა და საიდუმლოება მუღრის სქესისა ჰქმნის შეევარების ხელის შემწეობ ზარობებს. ზირ იქით და-ძმურათ ერთათ ცხოვრება სრულიადაც ხელს არ უწეობს მათ შეევარებას.


ასეა შკალებშიაც. ქალ-ვაჟთა ერთათ სწავლება ავითარებს მათში ამხანაგურ დამკვიდრებულებას სერიოზულ საქმიანობის ნიადაგზე და ხელს უწეობს ერთი მეორის ზეტივის ტემას, და ამხანაოთ შკარდება მათ შორის მეტი ზნეობრივი სიფაქიზე. ამას აქვს ერთგვარივე მნიშვნელობა უმაღლეს სასწავლებლებშიაც. ევროპაში ეს საკითხი კაი ხანის გადაწყვეტილია და უნივერსიტეტებში უკვე შემოღებულია ქალ-ვაჟთა შეერთებული სწავლება. სხვა გზა შეუძლებელია. ზნეობრივ მანებლობას სქესობრივ დამკვიდრებულებასში აწკვეპენ იდუმალი შეხვედრა სადაც მამალულ კუნტკულებში და არა აშკარა ამხანაგური კავშირები, რომელნიც მეარდება შკალებში, სადაც სამეცნიერო სკენების მეცადინეობაში გაჯობრება და აზროთა ცაცვლა-გამოცვლა სხვა და სხვა საკითხების შესახებ.

ცხადია, რომ თანამედროვე, საზოგადოების სქესობრივის მხრით გასაჯანსაღებლათ აღზდასთან ერთათ უნდა მიღებულ იყოს სხვა ზომებიც საზოგადოებრივ ხსიათის. ასე, მაგ., საქმის უზირველეს ეფედისა მოინზოს ახალგაზდობის სისტემტიური გარეენილება, ხელის შემწეობი ზირობები მასწანკებისა (СВОДНИЧЕСТВО) — გარეენილების ბუდის სადრსკიზო სახლების მოსწობით. ამასთან ერთათ უნდა მოინზოს ზოლიციური ზედამსკდეულობა, სინჯვა როსკიზ ქალებისა. — ამათი მზრუნველობა არავის სიფათისაგან არ იცავს, არ უზრუნველეფოს და ამავე დროს რეუნას ამ საქმეზე მიხენილ ზირებს და ამცირებს დედაკაცთა ზიროგნებას.

ამავე დროს საჭირთა ბრძოლა ზრდსტიტუციის, როსკიზობის წინააღმდეგ, რომლისათვის საკმარისი როლია მარტო კანონმდებლობითი ზომები, არამედ საჭირთა ძირითადი ცვლილებანი საზოგადოებრივ-ეკონომიური ხსიათისა. ამავე მიზნისათვის სასურველია შემოღებულ იქმნას ნაადრევი დაქორწინება, როგორც ამას შგრებიან ურალთა მდაბიო ხალხში. საჭირთა აგრეთვე კაადვალდეს ცოლქმართა გაურის კანონები იმ შემთხვეეებში, როცა არ ხორციელდება ზირდაზირი მიზანი ქორწინებისა — შეილასნობა, ბედმომავლობის კანკება; ან კიდევ როცა ამას ხელს უშლის ავითმეფობა, ან სულიერი შეუთანხმებლობა ცოლ-ქმართა შორის.

და ბოლოს, საჭირთა გამოეუნას დედაკაცის დეეუნადელ დაბეზავებულ მდგომარეობიდან, უტკველია, კიდე უფრო ხელს შეუწეობს ჩეხი საზოგადოების ზნეობრივ გაჯანსაღებას...

მთარგმნელი „Rost scriptum“-ი. ეს წერილი ეკუთვნის ზეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ცნობილ ზროფესორ-აკადემიოსს ვ. მ. ბესტერევის და დაბეტლილია ახალ სამედიცინო ჟურნალ: „ЗДОВОЯЯ ЖИЗНЬ“-ის დეკემბრის №-ში. ეს და მეორე ამგვარივე ჟურნალი „ЗДОРОВЬЕ СЕМЬИ“ ძირე ზმზულიარული და იაფ-ფასისანი (ზირველი დირს 1 მან. 25 კაზ., მეორე — 1 მან. და გამოდის ზეტერბურგში) გამოცემება საჯანსა, სახალხო და აჯანთათვის საკითხავათ. ამათ ხელმძღვანელობენ რუსეთის საუკეთესო ექიმები, რომლებიც ამათი საშუალებით აგრელებენ სამკურნალო მეცნიერების უკანასკნელ სიტეეას, ამ დარგის საამდროფო საკითხებს.



ქართული
ხელოვნების
განმავითარებელი

ერთი ამ საჭირო და საამდროფო საკითხთაგანი არის სქესობრივი საკითხი, სოციალური მნიშვნელობა მკაცრად და მდაბიურად აქვს გარკვეული ზრდით. ბეტერევეს ზემოთხსენებულ წერილში. მისი გადმოქართულება მე საჭიროდ დავინახე ჩვენი საზოგადოების და უფრო ახალგაზრდობისათვის, რომელნიც ამ საკითხს თეორიულად სრულყოფილად არ იცნობენ და პრაქტიკულად ვი აუღიანთ თავიანთ სქესობრივ ინსტიტუტებს და ვინ მოსთვლის რა დამღუპველ ნიადაგს არ უმზადებენ როგორც თავიანთ ზირად ჯანმთელობას, ისე შთამომავლობას...

უკველია, დაკვირვებულ მკითხველს ეს წერილი დაინტერესებს და ხელმეორეთ წაკითხვის შემდეგ, იგი მოისურვებს ამ საკითხის ვრცლად, სფეროვლიანად განხილვას, შესწავლას და მით ხელმძღვანელობას. აი ამ შემთხვევისათვის მას მიუთითებთ, ამისვე ავტორის უფრო ვრცელ წერილზე, რომელიც წინასიტყვაობით უძველესი ახალგაზრდობის პეტერბურგში გამოცემულ გერმანულ ზრდოვან ავგუსტ ფორელიის წიგნს: „*Половой вопрос — естествонаучное, социолог., гигиен. и психологическое исследование.* — ტ. I და II ფ. 2—50 კ. 1910 წ.

ზრდოვ. ბეტერევე იმ წიგნის წინასიტყვაობაში მეტყველებს, უფრო ვრცლად არაკვეთს ხსენებულს საკითხს. იგი ხსნის ფორელიისგან ცოტადანთ განსხვავებულ თავის შესჯდვლებას, ამ საკითხის მეორე ხარისხიდან საკნებზე და დიდის თანაგრძობით აღიარებს მისი წიგნის უადრესობას სამედიცინო სოციალგოიურ ლიტერატურაში, სდაც მისი მსგავსი წიგნი არცაი მოიხატება.

ფორელიის მეტად შესანიშნავ წიგნის ღირსებაზე აღმზარაკს მე აქ აღარ შეუდგები; ურჩევ კი ჩვენ ახალგაზრდობას და მოინტელიგენტე ოჯახებს ამ წიგნს მეტი უურადლება მიახურონ და გაიხადონ იგი სხვა სასარგებლო წიგნებთან ერთად საუკეთესო სახელმძღვანელო სქესობრივ საკითხის სოციალურ მნიშვნელობის შესაგნებლად, ეს წიგნი ყოველ ხასწავლი და შეგნებელი ოჯახის ბიბლიოთეკას უნდა ამშვენებდეს.

ხოლო ჩვენი ზრდოვანობისათვის ექიმები, რომელთაც მიზნით დაუსახავთ ხალხში სამკურნალო მეცნიერების გავრცელება კარგ სამსახურს გაუწივენ ქართულ „ახალმკითხველებს“, სხვა თავიანთ საზოგადოებრივ მოვალეობასთან ერთად თუ ფორელიის წიგნს შემოკლებით გადმოაქართულებენ მდაბიურის ენით და მით ერთ საინტერესო-სამეცნიერო საკითხზე წიგნს შეუდგენენ ქართულ ლიტერატურას. მთლად კი ორივე წიგნის თარგმნა გამოცემის მხრით სძნელა.

ბოლოს, ჩვენი ექიმები თვითღისს და ქუთაისში, სდაც სახალხო უნივერსიტეტშია მოწყობილი და ქართულად ლექციებს კითხულობენ (თუმცა თვითღისში ეს დღემდე ჭირს). სქესობრივ საკითხზედაც რომ კითხულობდნენ ლექციებს და აცნობდნენ საზოგადოებას ცხოვრებაში ამ მეტად საჭირო და სასარგებლო ნაწილს სამკურნალო მეცნიერებისას, — ამით სხვა საქმიანობაზე არა ნაკლებ სასარგებლობას მოუტანენ მას...

ვუსურვებთ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში, სდაც ასე ენერგიულად მომხმობენ ადგილობრივი ინტელიგენტური ძალები და სდაც ქართულ ენაზე თვითღისივით კი ჭკრ კადე არ დაუდვიათ „veto“ ამ საკითხზე ლექციების კითხვას შეუდგებოდნენ...

შემოდგომა.

ქართული
ლიტერატურა

ბ. პელაშვილი.

ზეცას მოსწყდა... ძირს დაეშვა
სუსხი-ყინვის ნაპერწკალი;
ჩაქრა, ჩანელ-მიიბნადა
ტრფობის ცეცხლი, შვების ალი.

მთა ქვითინებს... ბარი კვნესის..
შორს გაისმის გლოვის ჰანგი,
დასწყდა სიმნი .. მთლად დადუმდა
იოლოსის ტურფა ჩანგი.

ტყე გაცრცვილი ოხრავს, გმინავს
ველს დაჰკივის ქარიშხალი.
ზღვა ბობოქრობს, ზვირთებს ისერის
ნაპირს ნამავს ნაშხეფალი.

აქ დამზრალი მდგელო მოსთქვამს,
იქ წალკოტი საცოდავი,
არარატა მოღრუბლულა
მოუბურავს ძაძით თავი...

მაშვრალთ უბანს, მაშვრალთ კერას
დასტეხია რისხვის ზარი,
თვის ზვედრს ყვედრის, სწყევლის-კრულავს
ბედისაგან განამწარი...


ცა შავ-ბნელათ, ცა პირ-ქუშათ
იგრავნება... ზარავს არეს,
პიტალო-თხემს ჩადრს ახურავს...
სტყორცნის ვარამს. . სიმწუხარეს.

შემოდგომის მკჷნარ-ფოთოლი
უსიცოცხლოთ მიმოქროლავს,
ვერ გაუძლო... მოსწყდა უდროთ
წუთი-სოფლის ტრიალ-სრბოლას.

... და სამყარო გადაგირგლა
კაემანმა შავის ფიქრის,
გადიყოლა, გადიტანა
თან პასუხი გულის კითხვის...

იმედის მთა დაირთვილა...
დაზრა ვარდი გაზაფხულის...
ბორიო კი კვნესის, კვნესის
მომშხამველი სიხარულის.

ხარი და პეპელა.


 ქართული
წიგლისათვის

ნ. ლორთქიფანიძე.

მზის სხივები ტყდება ჰაერში, ერთმანერთს გზას უღობავს, თრთის, ჰხუთავს სულის თქმას. ოქროში დაფერილი თაველი დაშლიფებული პურის ყანისა თვით ისერის სხივებს; ცას სიცხისაგან ფერი წასვლია. ქვეყანას აღმური ასდის.

რუს პირად, ღობის ყურეში, ცაცხვის ჩრდილს შეფარებიან ხარი და ვირი. ხარი სცოხნის; ვირს ეთვლიმება. ახლო გაგდებულ ზღვზე პარპაციით ვარდება პეპელა.

გამარჯობა თქვენი!—მიესალმა იქ მყოფთ პეპელა.

— რაღა გამარჯობა, ჩემო დაუცხრომელო!—უპასუხა ხარმა—ავერ საცობარი გამომაკლდება, კუჭში არაფერი მაქვს. ერთი ვერ წამომდგარვარ ფეხზე საბალახოთ ისეთი საძაგელი სიცხეა და ისე დაქანცული ვარ.

—სანამ მე რქებზე ვიჯექი, აკი კარგათ მუშაობდი?!

— ქეშმარიტად სამადლობელი ხარ. შენ რომ უდარდელად იჯექი რქაზე და ფრთებს აქანებდი, მეც რაღაც სიო მიბერავდა და ძალას მმატებდა. შენი მხიარულება მეც გულს მიმაგრებდა.

—ეს კი გადაუმატე! განა შენი კული უფრო ძლიერ სიოს არ გბერავს?

—არა კული მხოლოდ მამბეზარა ბუზების დასაფრთხობად, გასადენად მჭირდება.

მაშ მეც გაწუხებდი!..

—რა სათქმელია!.. შენ რქაზე იჯექი, ეს ბუზები კი სწორეთ ტიტველი ხორციდან სისხლს მწოვენ და თანაც ბზუიან... ბზუიან...

—მართლაც ვერ გამიგია, ჭრიჭინობელას არ იყოს, რას ბზუიან? ქვეყანას აწუხებენ! მერმე ეს კბენა რომ იციან, ნუთუ ვერ გადაეჩვევიან?! ყოველ შემთხვევაში გამდლობ რომ სხვა მწერებისგან გამარჩიე. ვისაც ჩემი მიახლოვება სწყენს და გულახდილად მეტყვის, თავის დღეში არ მივეკარები. აი, ეს არის ნარეკალაზე შემოფეხეკი, მეგონა, ეამება ახალი სტუმარი-მეთქი. ისეთი კი ჩამასო კბილები კინალამ ავტირდი. ეთქვა არ მივიდოდი, რაღას იკბინებოდა?

— ეხლა რას შერები მანდ?

— მინდა პატარა დავისვენო და აი წყალს ვესტუმრო. აქედან ვუყურებ ისეთი ანკარაა: პატარა ქვები მოსხიანს ყვითელი, მწვანე, ლურჯი, თეთრი. შიგ თევზები დასრიალობენ; ერთი მათი ცხოვრებაც მინდა ვნახო—სასეირო იქნება უსათუოდ.

— აჰ, არ გაგიწყრეს ღმერთი: იქედან ზევით ვეღარ ამოხვალ. როგორც კი ჩახვალ, ერთხანს გაფოფილებს, მოგიაღერებს, გაგაგრილებს და სხეულის მოდუნებით დაგატკობს; მაგრამ მერმე გულში ჩაგიკრავს და აღარ გამოგიშვებს—იქვე მოკვდება.

—ჰე ჯანი გამვარდნია. ვნახე, ვირბინე, ვიფრინე, გადავხტი, ეხლა ერთი ვიცურავებ. ამ მიწაზე რაც იყო ყველაფერი ვნახე. ზევით, ცაშიაც ავედი, რამდენიც კი შემეძლო, ვიცქირე; მეორეჯერ დაუბრუნდე იმას, რაც მინახავს, არ მინდა. ბევრი კი ვნახე სასიამო. წითელი პეპელა რომ არის, ისეთი მხურვალე კოცნა სცოდნია, რომ დროებით შენცკი გაწითლდება. ხარი-თვალთა კი ჩაგიკრავს ფრთებში და აღარ გაგშორდება, სანამ სიყვარულით ფრთები არ შემოგეწევა. მერე რა სეირია ველში. ყაყაჩო, მოლოქა, სამყური, კამა, პრასი

ისეთს ამბავს სჩადიან: არშიყობენ, მზვერაობენ. ყოველი მათგანი ფუტკარს თავისკენ იწევს: მოდი მოდიო. მერე რა ლამაზია მზე, მერცხალი, კრავი-არქი-თი-ცე რომელს უცქირო, თავს შემოველო: დარბიხარ, დარბიხარ და ბოლოს როცა ყველაფერს ნახავ სწუხარ... სწუხარ არ ვიცი იმიტომ რომ ყველაფერი ნახე, თუ იმიტომ რომ სანახავი მეტი აღარაფერია. ესლა მსურს გავიგო, როგორ გუნებაზე ვიქნები, როცა არაფერს დავინახავ, თვალთა ხედვა რომ დამეხშობა.

— რა ბედნიერი ხარ, პეპელავ. ერთი დღე იცხოვრე და ყველაფერი ნახე. რამდენი ხანია ვცხოვრებ და ჯერ არაფერი მინახავს.

— აი წამოდი, ჩავიდეთ წყალში. მე რქაზე დაგაჯდები.

— რომ არ მცალია?

— რა დაგემართა?

— ხომ უყურებ ადამიანი მოდის. დამადგამს უღელს და ისევ უნდა ვიმუშაო.

— რა კარგია კაცი. ასეთი ჩაცმული ჯერ არავინ მინახავს ხან ერთი ფერი აქვს და ხან მეორე. მაგასთან მუშაობა არ იქნება მოსაწყენი. გაიარ-გამოიარე მაგასთან პატარა და მერე ჩამოდი წყალში, რომ მოხვალ ამბებს გეტყვი ნახული მეყოლება ყველა და ყველაფერი.

— ნუ ჩახვალ წყალში მე მაინც მომიცადე. ერთათ ჩავიდეთ.

— ამაზე კი ნუ მიწყენ. მოცდა არ შემიძლია: ამდენი მოთმენა კი არა მაქვს! შაშ, მალე ნახვამდის!

პეპელა პარპაციით დაეშვა რუსკენ. —

რა კარგი ყოფილა. ასეთი გრძნობა ჯერ არ გამომიძლია. ზევით ცხელოდა, აქ კი გრილა. ყველაფერი, რაზედაც კი ვჯდებოდი მაგარი იყო აქ კი რბილია. ზევით ფრთები უნდა ვაქნიო მუდამ, აქ კი მივსრიალობ უძრავად.....

უბედური! — ნაწყენი ჩაიდმულია გულში ხარმა. — უკანასკნელს სიტყვებს ამბობს. ნეტა არ დაეღუბა თავი. რომ უყურებდი წარმოუდგენელ ძალთა შეკრებას ვგრძნობდი სხეულში. ასე მეგონა სიცოცხლეს და ხალისს უხვად მასესხებ-მეთქი.

— უ! რა ცავა! დავსველდი მთელი ტანით... ესეც.... კარგია..... უცხოა. შაკვირვებს მხოლოდ ხარი სად არის ამდენს ხანს? ზანტი რამ არის. ისე აუჩქარებლათ, ნელო, დინჯათ დადის, თითქოს საუკუნოები შეუძლია იცოცხლოს...

— მოკვდა — სთქვა ხარმა.

ვირმა ერთი დაცინვით შეხედა ხარს: როგორ არ გრცხვენია პეპელასთან მუსაიფისა და მისი ყურება-შენანებისა?

ადამიანმა ხარს უღელი დაადგა.

მ ი ლ ო ც ვ ა

(სცენიდან ნათქვამი)

გრი — გრი.

მომილოცავს თვალთ სიბრმავე,
მელაობა, კუდის ქნევა;
მომილოცავს ჭკვის სიკოტრე,
მურ-ღვარძლისგან გესლის ნთხევა.

კარგად გიცნობ თუ ვინ, რა ხარ:—
 ურცხვ-უტიფარ, ავ-ზნიანი,
 სიტყვით გმირი... და საქმით კი
 შუბლ-გარეცხილ გესლიანი.
 ითვალთმაქცე... სხვის სულ-გულში
 მყრალი ხელი აფათურე,
 აზრი წრფელი გონებიდან
 განიდევნე, გაპანღურე;
 თაყვანი ეც ჭორს, სიცრუეს.
 ზოგი ლანძღე, ზოგი სჩეხე
 და რაც გვავნო მეტიჩრობით,—
 შენს წინაპრებს დააკვებე!.



ბელვედერის აპოლონი
 (ვატიკანი)

ბრეტონური სახალხო პოეზია

თარგმანი
გიორგი მთელი

(ფ რ ა ნ გ უ ლ ი დ ა ნ)

ბ უ ლ ბ უ ლ ა .

თარგმანი ალ. სარაჯიშვილი.

სენ-მალოს ახალგაზდა მეუღლე თავის მაღალს სარკმელში გუშინ ტიროდა:
„ვამე, ვამე! რა მეშველება! ჩემი საწყალი ბუღბუღი მომიკლეს!“

* * *
— მითხარი, ქალბატონო, რად ღგები ეგრე ხშირ-ხშირად
ეგრე ხშირ-ხშირად შუა ღამისას ჩვენს ლოგინიდან,
თავ-შიშველი და ფეხ-შიშველი? რად ღგები ეგრე?

— ეგრე თუ ვღგები, საყვარელო მეუღლეო, შუა ღამისას ჩვენს ლოგინიდან.
ეგ იმიტომ რომ მიყვარს ვუცქირო, როგორ მიდიან და მოდიან ღღი-ღღი
ხომალდები.

— დიღამც, ხომალდების სანახავად როდი მიდიხარ ეგრე ხშირ-ხშირად ფან-
ჯარასთან.

არც ხომალდებისათვის, არცა ორისა და არც სამისთვის;
არც ხომალდების სანახავად, და არც მთვარისა და ვარსკვლავებისა.

მითხარი, ქალბატონო; ყოველ ღამ რისთვის ღგები?

— იმისთვის ვღგები, რომ დაეხედო ჩემს შვილ აკვანში მძინარეს.

— არც იმისთვის ღგები, რომ დაეხედო მძინარე ბავშვსა.

შენ მაგ ზღაპრებს თავი დაანებე; მითხარ, ეგრე რისთვის ღგები ხოლმე?

— ნუ ჯავრობ, ჩემო ბებერო, მართალს გეტყვი:

ბუღბუღს ყურს ვუღღებ ყოველ ღამ ბაღში რომ ვარდის ბუჩქზე გაღობს.

ბუღბუღს ყურს ვუღღებ ყოველ ღამ ისე მხიარულად გაღობს, ისე ტკბი-
ლად გაღობს.

ისე ტკბილად გაღობს. ისე უცხოდ, ისე ამოდ, ყოველ ღამ, ყოველ ღამ,
ზღვა რომ დამშვიდდება.

* * *
ბებერმა ბატონმა ეს რომ გაიგონა, თავის გულში გაიფიქრა;

ბებერმა ბატონმა ეს რომ გაიგონა, უთხრა თავის თავსა:

„ტყუილია თუ მართალი, ბუღბუღს მაინც დავაჭერინებო!“

დიღას რომ ადგა, წავიდა, ნახა მებღღე.

— ჩემო მებღღეო, ყური დამიღღე, ერთი რამ მაწუხებს.

ბაღში ერთი ბუღბუღია, ღამე სულ გაღობს;

მთელი ღამე სულ გაღობს, ასე რომ ძიღს მიფრთხობს.

ამღამ თუ დიჭერ, ერთს ოქროს გაჩუქებ.—


მებღღემ მოუსმინა, ბაღში საფთხე დაავო,

დიჭირა ბუღბუღი და ბატონს მიართვა.

ბატონმა რომ ბუღბუღი ხელში ჩაიგდო, გულიანად გაიციღა;

დაახჩიღა და მიავდო საწყალს ქალსა თეთრს მკერდზე;

— აჰა, ქალბატონო, ეგეც შენი მშვენიერი ბუღბუღი;



შენთვის დავაჭერინე, მგონია გასიამოვნოს.

*
*

ეს ამბავი ქალის აზიკმა რომ შეიტყო, ასე ამბობდა მწუხარედ:
„ვაი ჩვენ, მე და ჩემსა სატრფოსა, ველარ ვნახავთ ერთმანეთს.
„მთვარის ნათელზედ, მის სარკმელთან როგორც ვიყავით ჩვეულნი!“



თავისუფლება და ძალმომრეობა—გოდებსკის ქანდაკი.



გრაკების დედაშვილებს უქადაგებს ქვეყნის და ერის სამსახურს. დემოსთენის ნახატი

გრაკების დედაშვილებს უქადაგებს ქვეყნის და ერის სამსახურს. დემოსთენის ნახატი

დღეს უკვე მიუხვარს...

ქართული
ბიბლიოთეკა

ი. მჭედლიშვილი.

სახსდწლო ძღვენი ნინოსთვის.

მოვწევ გრძნობის შვილდს, გაეკრავ ისარს სიყვარულისას,
თუნდა მტერს მოჰხვდეს, თუნდ მეგობარს, მკურნალს წყლულისას!,
და თუნდა სატრფოს მოღალატეს, ჯალათს გულისას:—
დღეს მე თაყვანს ვცემ მზესა ახალს, სიხარულისას.
უნდა გავღვენო წუთით ტანჯვა, ავმალღდე სულით,
მივეცე შვებას, აღტაცებას მართალი გულით.
მსურს მხიარული ხმა ჩანგისა მოვფინო ყველას, —
მშვიდობის ნიშნად თავს დავიდგამ ჭრელ ცისარტყელას.
დღეს ყველა მიყვარს და თვით მტერსა დავუკმევ გუნდრუკს!
დღეს მე ასე მსურს! ნუ მიწოდებთ სულელს და უგნურს..



ახალი ამბები

— ცნობა მოვიდა, რომ სპარსეთის ყოფილი შაჰინ-შაჰი, სათათრეთის სულ-
თან აბდულ-გამიდი და პორტუგალიის ყოფილი მეფე წინააღმდეგნი არა ყოფი-
ლან უმალ თავიანთ ტახტებზედ ასვლისა.

დებეშათა სააგენტო კიდევ იტყობინება, რომ სახელმწიფო სათათბიროს ბო-
ლო კრებაზედ, უკაცრაული პასუხია დეპუტატს პურიშკევიჩს უშვერი სიტყვებით
არავეინ გაულანძღავს და არც არავისათვის უგინებია, რადგანაც ბ. პურიშკევიჩი
ამ ბოლო კრებას არ დასწრებიო.

პეტერბურგში მყოფი თავად-ახნაურთა რწმუნებულნი იტყობინებიან, რომ
ძალიან ხელ-საყრელ პირობებით შევეკარით კახეთის რკინის გზის გამყვან სინდი-
კატებს, რაიც სხვათა შორის სჩანს იქიდგანაცაო, რომ ამ გზით მოგზაურობის
ნება ქართველებსაც მიეცემათო...

კაი სასყიდელს ჰპირდებიან იმას, ვინც ჩვენ დროში იკისრებს გაზეთის
რედაქტორობას, — წერა-კითხვის ცოდნა ასეთ პირისათვის სავალდებულო არ არის.

გოლოვინის და მიხეილის პროსპექტზედ დაიკარგა ზრდილობა, მპოვენლო
სთხოვენ დაუბრუნოს აღნიშნულ პროსპექტებზედ მოსეირნე მოსწავლე ახალ
ვაზრდობას.

ქართულ თეატრში მოსიარულე ახალ-ვაზრდობას ერთხმად დაუდგენია: ვინც
ქართულად დაილაპარაკებს, სიტყვაზე შაური გადაიხადოს ადგილობრივ რუსთა
პატრიოტულ საზოგადოების სასარგებლოდ.

რუსულ გაზ. „ЗАКАВКАЗЬ“-ს რეცენზენტს საჩივარი აღუძრავს სტალინის აზრს მსახიობ ბ. ბ. მდივანის წინააღმდეგ, რომელიც თურმე, სცენაზედ დროს ტკბილ ძილს უფრთხობს ბ. რეცენზენტს.

ზემოთ აღნიშნულ რუსულ გაზეთის სულის ჩამდგმელებს დიდი პროექტი წარუდგენიათ თავის უფროსებისათვის: ვინაიდან ჩვენში არც ინტელიგენცია ვარგა და მკვიდრი მცხოვრებლები — „ტუზემცებიც“ სრულიად მომზადებულნი არ არიან, როგორც საერო მმართველობის შემოსაღებათ, ეგრეთვე სხვა გვარ რეფორმებისათვისაო ამ ნიადაგის შესაქმნელად ერთი ასიოდე წლით მაინც ერთი ორად გაძლიერდეს პოლიცია და საზოგადო მოხელეთა შტატებიო. პროექტი მოუწონებიათ და ავტორისათვის ჩინი მიუმატებიათ...

ზოგიერთ ქართველ მსახიობთ და ქართ. გაზეთების თანამშრომლებს განუზრახავთ სიფხიზლოს საზოგადოების დაარსება და ამ მიზნის გასახორციელებლად თურმე ყოველ დღე იკრიბებიან, ხან ანაგის „პადვალში“ და ხან „ოსებთან“.

ბაქოს ქართულ სკოლაში ახლად მოწვეული ქართველი მასწავლებელი ქალი თურმე წინააღმდეგი არა ყოფილა, რომ აღნიშნულ ქართულ სკოლაში „კართულიც“ ასწავლონ. ამავე აზრისა ყოფილა ბელაქორის მასწავლებელი ქართველი უკაცრავად ქალი. ესენი ხომ ზედმეტი მაგალითები არიან, რომ საქართველოს ჯერ არ გამოღვეია ნამდვილი აღმზრდელი ქართველი დედები.

ის ნომერ-ნახევარი ყოველწლიურ... უკაცრავად, — ყოველდღიურ ქართულ გაზეთისა, რომელიც ბაქოში დააწყეს, სახელდობრ „მარცვალი“, თურმე დაცემულა ბაქოს უემურ ნიადაგზედ და იგი მახუტს წაულეკავს; ამიტომაც ამ გაზეთის ყოფილი ხელმძღვანელნი ბ. ბ. პლ. გელოვანი, ალ. ნადირაძე, ლ. ახობაძე, დ. თედემილი, რ. ნაცვალოვი და სხ., როგორც ნაყოფიერ კულტურული მუშაობაში დაზარალებულნი, სთხოვენ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მთავარ გამგეობას ზუბალაშვილების მიერ დაარსებული ყოფილ-წლიური ფონდი ჩვენც გვინაწილეთო.

რადგანაც ქალაქის „მამები“ ველარაფრით მიიზიდეს საბჭოს კრებებზედ და რამენაირად რომ გაამართლონ დანიშნულება ამ „ლლასნებისა“, ქალაქის თავს ბ. ხატისოვს იმათთვის მიუძღვია ვირთაგვების დაჭერა და სასყიდლად თავგზზედ შაური დაუნიშნავს. დაჭერილი თავგები „ლლასნებმა“ უნდა დააბან ქალაქის გაუქმებულ საყასბოგებში.

სტატისტიკური ცნობები ირწმუნებიან, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქალებმა, ახალი მოდის მიხედვით, ფეხები გაიბოჭეს, ოჯახურ ცხოვრებაში შესამჩნევი მყუდროება ჩამოვარდა, რადგანაც დასძენს სტატისტიკა, ოჯახურ „ნედორაზუმენის“ დროს მანდილოსნები ძველის სიმარდით ველარ ეწევიან „გადამეტებულ აღერს“.

რედაქტორ-გამომცემელი

თავ. ნ. მ. ლორთქიფანიძე



სურათი. ა, თქვენ აქ ყოფილხართ? სალამი, ძალიან მოგისწრიათ!

ნაზი-ბროლა. როგორ, ძმასთან მოსვლაც არ შემიძლია?

სურათი. არა მაგას ვინ ამბობს, მაგრამ ვიცი თქვენი განზრახვა! დღეს უნდა გადაწყდეს თქვენი გათხოვების ბედი და ამიტომ მოსულხართ, რომ მთავარი თქვენსკენ გადებიროთ! ეგ ქურდობაა!

ნაზი-ბროლა. (მთლად აენთება) სურათა...:

მთავარი. კარგი, აბა რას ამბობ!..

სურათი. რასა და... ჩემო სალოცავო! (შივა მთავართან.) ეგ არ შეიძლება. ნაზი-ბროლა ზენის ვერ წაყვება. მაგათ არ შეგაცდინონ. შენი წმინდა და უმანკო გული არ შეისყიდონ. შენ არ იცი მაგ დათმობით რა საშინელ ბედს დაუმზადებ შენს სამთავროს.

მთავარი. (მეტის მეტი შეწუხებულია. არაფერს არ უნდა ამ საჯანზე აღაზნავს) კარგი, დაიცადე.

ნაზი-ბროლა. არა, მთავარო, მეტის მოთმენა არ შეიძლება! ეს ფიცი საიდანაც მომღრნარეობს... დედოფალი დაბრმავებულია. შეიძლება კეთილიც უნდა შენთვის; მაგრამ არ იცის თუ რა გზით მიყავხარ. აქ პირადი შურიც ურევია. მე ვიცი... ამაში ახალგაზდა ბინდიაც მონაწილეობს. ამას წინათ სიკვდილს გადავარჩინე და... ევხ, სულ ერთია. დაე, შენმა უტყუარმა გრძობამ, შენმა უსაზღვრო კეთილმა გულმა გადასწყვიტოს როგორ სჯობია. ის არ მოვატყუებს... შენ თვითონ მიხვდები, რომ ბუნებრივ სიმაართლის გზაზე გავლას არავინ მართალი არ დაუზარალებია.

სურათი. (შეცვლის წინანდელ კიდეს.) ჩვენ შებრალება არ გვმართებს ერთი მეორის, ნაზი-ბროლა. ორივეს ერთი შიზანი გვაქვს: ესეა თუ ისე, დავიცვათ ჩვენი, ორივესთვის ძვირფასის, მთავრის კეთილდღეობა და... (ცრემლ-მორკული.)


სიცოცხლეც. შენ კარგათ თქვამდადი თვით გადასწყვიტოს როგორც სჯობია.

მთავარი. (სხე გაუნათლებს.) აი, ესე არა სჯობია. რა გაქვთ საცილობელი! მე დამაცალეთ! (ორივეს ხელს დაუჭერს და ღმობიანათ შესტყვის. ზაუზა.)

სურათი. იქ, დარბაზში დიდებულები ვიცდიან, ჩემო სალოცავო, სათათბიროთ შეკრებილან. (მთავარს სხე მოედრებულებს ისევ. ხელს გაუშვებს მათ და თავის სჯარძლისაკენ გაემართებს და ჩამოჯდება.) კიდევ თათბირი!.. (ცრტა ზაუზა.) დეე, შემოვიდნენ. (სურათს დაუკლებს ანაშენის. დაუკლებს გადას.)

მთავარი. (თავს ჩაკიდებს.) რა კარგია ეხლა ძილი. რომ არაფერს არ ვგრძობდე, არაფერი არ მინდოდეს. (სურათს დადებრივის მზრუნველობით მისჩერება. ნაზი-ბროლაც მთავარს უყურებს, მაგრამ ეტყობა მის შემხედვარეს რაღაც სამწუხარო ფიქრები უფუსუფესებს თავში: შიში, მწუხარება და გულის ტკივილი, ამას მეტყველებს მისი სხე: შემოდან წარჩინებულნი, მათ წინ მოუძღვის უშუუ-ვეზირი, ბინდა, და შემდეგ ღუკ-ღუკა. შემოსვლისთანავე ეველანი შირ-ქვე ემხობიან. გაისმის სურათს: „სალამი მთავარს!“ (მთავარი წამოდგება, ხელს მძლავს აიშვებს:— „სალამი თქვენდა. ადექით!“ (ეველანი წამოდგებიან. კადვე გაისმის:— „სალამი ჩვენს მზეს!“ (უშუუ-ვეზირი და ერთი მცნავნთავანი მოვლენ მთავართან, იქით-აქეთ მკლავებში ხელს კადებენ და მიჭყვავთ დიდის ტანტისაკენ. მათ მისდევენ სურათს და ნაზი-ბროლაც, მათ შემდეგ მიმუნჯარები. მთავარი დაჯდება თუ არა ბაღდანიანი განათლებს და უცნო სინათლეს მოჭიფებს იჭურბობს. წარჩინებულნი დინჯათ ჩამორიგდებიან, იქით-აქეთ გვერდების ჩამოსჯდომეზუ. სურათს და ნაზი-ბროლაც იქით-აქეთ ტანტის სფერურზე ჩამოჯდებიან. სხვები ჯერ კადვე დგან.)

უკლანი. გამარჯვება მთავარს!
მთავარი. თქვენც გამარჯვება! (ეველანი



დასხდებიან კარის კაცნი სამსხვერპლზე გა-
ღვაკებენ ნაკვერჩხადას და სურნელაფან ნივთი-
ერებას აყრან.) უშუყ-ვეზირო! აბა მოგვახ-
სენე მიმდინარე საქმეები

უშუყ-ვეზირი. (წამოადგება.) დღეს,
მეუფეო, ორი სამი საკითხი გვაქვს გადა-
საწყვეტი: ერთი მთავრის ასულის ნაზი-
ბროლას გათხოვების შესახებ და მეორე
ბედის მჭედელთა მიერ შემოტანილი წინა-
დადება — მზის ჩამოშვებისა და თაღის
გახსნის თაობაზე. (მთათბარეებსა ხელს
გაისმის დრტვიზისა და დაცინების ხმები.)

მთავარი აბა რას იტყვი, დიდ-
ბულნო? (სახუე.) აბა ვის რა გაქვთ სათ-
ქმელი? (ეგუჟანა შეინძრევის, მაგრამ ამ
დროს წამოადგება სურათა, ჩამოვა ტახტის
საფეხურიდან და დადგება მთავრის წინ,
მაყურებლებზე სურგ-შექცეული.)

სურათა. მომეცი ნება, დიდო მთავ-
რო, რომ მე ქალმა ჩემი სუსტის ჭკუით
მოგცე რამ რჩევა... (მთავარი უკმაყოფილოთ
არას, მაგრამ მაინც თანხმობის ნაშნათ ხელს
დაუქნევს.) მე მხოლოდ ის მინდა მოვახსენ-
ოთ, დიდო მთავარო და თქვენ წარჩი-
ნებულნო, რომ თქვენ დღეს ისეთი საკი-
თხები გაქვთ გადასაწყვეტი, რომლებიც
დიდს მოფიქრებასა და დაკვირვებას მოი-
თხოვს. მართალია, ერთის შეხედვით ნაზი-
ბროლას გათხოვება ეს კერძო საქმეა,
მაგრამ, თუ კარგა ჩავუყვირდებით მას,
დიდი და ღრმა სახელმწიფო მნიშვნელობა
აქვს. მე უფრო მცხოვანებას მივმართავ.
ყველაზე უკეთ იმათ იციან გამოცდილე-
ბით, რომ სახელმწიფოებში კეთილი გან-
წყობილება კეთილ-დღეობაა იმ სახელმწი-
ფოებისა; რომ მშვიდობიანი და მოყვრუ-
ლი დამოკიდებულება ერთი მეორეში დი-
დი ძალაა და ამითი ვითარდება მშვი-
დობიანი წინ — სვლა ხალხისა. მცხო-
ვანებმა ეს ყველამ მით უფრო კარგა
იცის, რომ მათ ახსოვთ წარსულნი დრო-
ნი, როდესაც მზიან ქვეყნებთან ჩვენს
მღვიმის სამთავროს ომი და ცილობა

ჭკონია. მართალია, ჩვენი სამთავრო,
ჩვენდა სანუგეშოთ და ხალხის საკეთილ-
დღეოთ, უფრო ხშირათ გამარჯვებული
გამოსულა და ამითი მოუბოვებია ის
საპატიო ზავთი და გავლენა, რომელიც
ეხლა მასა აქვს სხვა მზიან სახელმწიფოებ-
ში, მაგრამ სამაგიეროთ ეს გამარჯვება
მას არ დასჯდომია იაფად. ბევრი ხორცი-
ელი და ნივთიერი ღონე ქვეყნისა მას
გადალევია. ამისათვის მე ვფიქრობ, რაკი
დღეს ჩვენ შემთხვევა გვეძლევა, რომ
ნაზი-ბროლას მითხოვებით დავუმოყვრდეთ
ერთს ფრიად ძლიერსა და თვალსაჩინო
სახელმწიფოს მეთაურს მზიან ქვეყნისას,
ეს შემთხვევა არამც და არამც არ უნდა
გავუშვათ ხელიდან. მით უფრო, რომ
ჩვენს ქვეყანას, კარგათ ვიცით, თუ რამ-
დენათ სჭირდება ამ სახელმწიფოს დახმა-
რება. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ
იქიდან მოგვაქვს ჩვენ ყოველივე რაც
საჭიროა — საქმელ-სასმელი, შესამოსი და
სხვა საჭირო შეკაზმულობა. ჩვენ მხოლოდ
გვაქვს საშინელი სიმდიდრე — ძვირფასი
თვლები და ამას მათ ვაწოდებთ მზიან
ქვეყნელებს, მაგრამ აბა წარმოიდგინეთ
ჩვენის მოყვარე და კეთილ-განწყობილ
სახელმწიფოდან რამდენათ მეტად შეგვიძ-
ლიან ვისარგებლოთ. რამდენი უფრო
იოლი და იაფი დაგვიჯდება იქაური
საქონელი. ახლა თვით პირადათ ნაზი-
ბროლას ბედს შევებოთ. (ნაზი ბროლას
წამოადგება და უნდა რაღაც სთქვას, მაგრამ
მთავარი აშშვიდებს.)

სურათა. (ნაზი-ბროლას.) დიად, მე მინ-
და ვილაპარაკო მაგაზედაც. მართალია,
რომ სახელმწიფოს და თავის ქვეყნის კე-
თილ დღეობას კაცმა პირადი სარგებლო-
ბა და ბედნიერებაც უნდა შესწიროს, თუნ-
და მას უბედურებაც მოელოდეს, მაგრამ
სწორეთ აქ ის არის ერთი საუკეთესო
მხარე საქმისა, რომ ჩვენს სათაყვანო მთავ-
რის ასულს, ნაზი-ბროლას...

ნაზი ბროლა. (ვედარ ითმენს) დამიხსენით თქვენი ქებისაგან მაინც.

მთავარი. (დამბიერათ, საყვედურით.) ნაზი-ბროლა, ნუ აწყვეტინებ (უფრო ჩუმათ) მე დამაცალე!

სურათა. (განგაძობს) დიად, ის არის საამური, რომ თვით ნაზი-ბროლას მშვენიერი ბედი ხვდა წილათ: დიდებული და ძლიერი სახელმწიფო. თვით საქრმოც კაცი—სრული ადამიანი, როგორც გონებით ვგრე სხეულით. მაშასადამე საყოყმანო აქ არა არის-რა. ჩემი აზრია, დიდებულნი, დავიბაროთ მოციქულები და ჩვენი საზვიამო თანხმობა გადავცეთ მათ.

რამოდენიმე. ქება დედოფალს! ვაშა, ვაშა! მშვენიერია!

სურათა (ხედავთ ანიშებს რომ შეჩერდნენ) რაც შეეხება მეორე საკითხავსა, — თაღის გარღვევას, ეგ თითქო დიდი საკითხავია, მაგრამ მე მაგას მხოლოდ ფუქ-ოცნებას ვუწოდებ, რომელზედაც არც ღირს თავის შეწუხება. (გაისმის ირანოული სიცილი აქა-ქა).

ნაზი-ბროლა. ეხლა მეც გეტყვით.

უშუა ვეზირი (აწვევტიანებს) მთავრის ასულო! მე მიწვევ ჩემი თანამდებობა შეგაჩეროთ. ჩვენის მტკიცე და შეურყეველ ჩვეულებისა და კანონის ძალით სახელმწიფო თათბირის დროსა ქალთაგანს მხოლოდ დედოფალს აქვს ნება, ისიც მთავრის დასტურით, ილაპარაკოს.

სურათა. მთავარო, მოიწოდე მოციქულები!

რამოდენიმე. მოიწოდე, მოიწოდე!

ნაზი-ბროლა. შეჩერდით, ერთი! (დაჩუმდებიან) როგორ თუ არ მაქვს ნება ლაპარაკისა! ნება არა მაქვს ვთქვა რამ, როდესაც ჩემი ბედი და უბედობა წყდება. სად გაგონილა ერთი კანონი, რომელ ტლანქ ქალაღზე სწერია? თვით დამნაშავესაც კი, რომელთაც სიკვდილით დასჯა აქვთ გადაწყვეტილი, მათაც უსმენენ უკანასკნელ ჟამს და მეც ხომ ეხლა...

(მწარე დიმილით) დასასჯელათ გამხდებული ვარ. თქვენ გინდათ დაიბაროთ მოციქულები და, როგორც რამ ნივთი, გადამცეთ მათ. არ ეკითხებით ჩემს სულსა და გულს? ხომ კაცი ვარ მეც, ხომ ვგრძობ და ვცოცხლებ, ხომ მეცა მაქვს ჩემი სურვილები, აზრი და მისწრაფება?! მერე ამას განა ანგარიში არ უნდა გაუწიოთ?! ბარბაროსები ხომ არა ვართ, ველური ხალხი?! აკი დიდათ თავი მოგვაქვს ხოლმე ჩვენის განათლებით, ჩვენის მოწინავეებით. აკი დიდათ ვამაყობთ, რომ ეს მღვიმე, თუმც ბნელი და უმზეო, მაგრამ ესე ხელოვნურათ ჩვენ აღვაგეთო, ჩვენმა ამაყმა და ზვიადმა ჰენიამ შექმნაო! აბა კითხეთ ქურუმთ-ქურუმს. ის იმ ხავსითაც კი ამაყოფს ჩვენს თაღებს რომ გარშემო ავლია—ეგ არის ჩვენი სიმტკიცე, ეგ არის სიმბოლო ჩვენის სახელმწიფოსიო, მაგით არის მტკიცე და შეურყეველი ჩვენი კედლებიო! და თუ ესეა, თუ მართლა ესეთი დიდებული და მოწყალე ხალხი ვართ, საიდან შეეკმენით ის კანონი, რომ კაცის გრძობა-გონება თავისუფალი არ იყოს. არა ვაშა-კაცნო, მე ვგმობ ესეთ კანონს! (დრტინავს, გაკვირვებ და ზოგან გაუბედავი მოწინების სმა.) ვგმობ ყველა ესეთ ადამიანის თავისუფლების შემხუთველ კანონებს, ვგმობ მათ შემდგენელებს, ვგმობ მათ ხელის შემწყობლებს!

სურათა. დიდო მთავარო, ეს მეტის მეტია!

რამოდენიმე.

კანონს უარყოფს!

მთავრის ასულო!

რას შევესწარით!

ნაზი-ბროლა. შეჩერდით! მე ყოველივე მიხდა ვითხრათ. (დაჩუმდებიან) რაღა დავზოგო! სულ ერთია, ხომ გგონიათ, რომ უკანონობა ჩავიდინე, ჩემს ადამიანურს უფლებასე რომ ვლაპარაკობ. დე, თუ დასჯა მელის გეტყვით ყველას. (მთავ-



ვარი შეწყუბუნდა, თუმცა ეტყობა, რომ ესე-
თი ნაზი-ბრძოლას აღფრთოვანება უხარია.

ბინდა. დიღო მთავარო! (ნაზი-ბრ-
ძლას უნდაც განგებდეს და შეჩერდეს.) მო-
მიტევოს მთავრის ასულმა, რომ ვაწყვე-
ტინებ. მე მინდა მოგახსენოთ, რომ არც
ერთ ასეთ სამძიმო კითხვის დროს ქუ-
რუმთ-ქურუმი არ დაგვკლებია და ეხლა
იმდენი მაინც მოვითმინოთ, რომ იგი მო-
ვიდეს. აკი, ვიცი, მობრძანდებოდა. (შე-
რიდნს გალობის ხმა).

უშუყ-ვეზირი. დიღ, წელან მივიღე
ცნობა, რომ თვის სამყოფელიდან გამოე-
მართა. აი გალობის ხმა მოისმის. ეტყო-
ბა ახლოს არის.

მთავარი. დაიცადე, ნაზი-ბროლა! მე
გაძლევ სიტყვის ნებას, მაგრამ ქურუმთ-
ქურუმს კი დავუცადოთ.

ნაზი ბროლა. გემორჩილები, მაგრამ
სულ ერთია, რაც მაქვს სათქმელი თვით
უზენაესთანაც ვიტყვი თამამად. (გალობს
ახლოვდება. ეგვიპტის წამოიშლება. წავიდეს
ქურუმთ-ქურუმის მისაკებლათ. უშუყ-ვეზირი
და ბინდას. ზუსტად. შემადიან ფართო, ფეხ-
ბანაი სკანდით, რომელიც ხავსით და აქრო-
ქსოვლით არის მოთუფი, თხი ვაჟი-კაცი,
უბრალოთ, მაგრამ მოხდენილათ ჩანს მუდმი.
მათ მოუძღვისთ, ზურგით მხურვლებსაკენ
თხი ახვდვას და ქაღი, თეთრათ მოწყობილი
რომელთაც სკანდით ქურუმი უკავიათ და
სურნელებს უკმევენ ქურუმთ-ქურუმს. სკანდ-
ზე კიდევ აქრო-ქსოვლით და ხავსით შეუ-
თხული სავარდელი დგას, რომელშიაც ზის
ქურუმთ-ქურუმი სულ მწვანით მოხილი, ს-
ხეც და თამც მწვანე აქვს. მოხუცია—დაბაი-
სდური მიხვრა-მოხვრა; გამომეტყველებს თა-
ვისა—თავადური, სხეტიკი. მის შემოსვლასზე
მთავარი ჩამოდის ტახტიდან ქურუმთ-ქურუმის
მისაკებლათ. ქურუმთ-ქურუმს სანახაობის
შუასზე გამოიყვანებენ. მთავარი თავს დახრის.
ქურუმთ-ქურუმი აკურთხევს. ქაღები გალობენ:

„მადლი შემქნელს, მადლი მის ძალას
შორს ყოველი მანე, ნავსი!

სიმტკიცე თალს, მის მყარ კედლებს—
ამაგრებს მას ხავსი, ხავსი!

შორს ჩვენგან მზე უსირცხვილო
ამ ლითონების დამმავსი!

გვექონდეს ჩვენ ეს ნელი შუქი
და გარშემო—ხავსი, ხავსი!..“

მთავარი ისევ ტახტზე აჯ. სკანდეს თვალსაჩი-
ნო აჯავს დასდგამენ. მთავარი ფეხზეა. ქა-
ღები თავდასწილი დგანს. მკმევენს უკმევენ
სხეები ზარ-ქვე ემხარაან. გალობის დასრულე-
ბის შემდეგ.

ქურუმთ-ქურუმი. ქურთხევა თქვენდა!
აბრძანდით დიდებულნო! (წამოიშლება)
ჩემო გაზრდილო! შენს სამსახურად მზა-
ვარ!

მთავარი. (დაჯდება. უჩვენებს რომ დაჯ-
დეს.) დაისვენე ქურუმთ-ქურუმო!

ქურუმთ-ქურუმი. (ბოროტათ გაიცინებს.
მძიმეთ ჯდება) ჰმ... ჩემი დასვენება დიდი
ხანია უნდა ზოგ-ზოგს, მაგრამ უზენაესი
ჯერ კიდევ მომიწოდს მე ვიყვე მწყემსად
ამ საარაკო მღვიმისა. (ამოიხრებს) თუმ-
ცა ჩემი ძვლები დიდი ხანია მართლაც
თხოულობენ დასვენებასა, დაბერდენ ისი-
ნი, დაუძღურდენ, მაგრამ სული, სული
არ დაუძღურებულა! იგი ისევ მზათ არის
ჩემი საყვარელი სამშობლოსი და შენი,
ჩემო გაზრდილო, სამსახურისათვის. მხო-
ლოდ ხრწნიად ხორცს ამაგრებს ეს ხავსი
საუკუნოებით შეძენილი. ო, ხავსი, ხავსი!
იყოს კურთხეულ!


დიდებულნი-უმრავლესობა. იყოს კუ-
რთხეულ! (ზუსტად).

ქურუმთ-ქურუმი. ეხლა რას მეტყვით?
იწყეთ თათბირი?

უშუყ-ვეზირი. (მოკრძალებით). ეს არის
მხოლოდ გაიხსნა!

ქურუმთ-ქურუმი. აა! (ამოიხრებს) ესეა
ძვალთ სიუძღურე ზოგს გონებისაც გო-
ნია!.. იყო დრო უჩემოთ არ იწყებდენ
სახელმწიფო თათბირს.

უშუყ-ვეზირი. (შემკრთავს) ჩვენც და-
გიცადეთ, უცოდველო!



ქურუმთ-ქურუმი. (გამამტყდელის თვალით მისჩერებია უშუყ-ვეზირს) რათა კრთი, უშუყ?! (გესღანათ) მე არ გიწყურები! პირველ ვეზირს შესაკრთომი არა უნდა ქონდეს-რა... (მნიშვნელობიანათ თავს ჩაქნეს.) არც მე მგონია... ჰო, საგნები სათათბირო!

უშუყ-ვეზირი. (ქურუმთ-ქურუმის შენიშვნაზე თითქო მთლად ჩაძვრა თავის თავში. მიჯნავეპულის ხმათ.) სათათბირო საგნები გახლავთ, უცოდველო...

ქურუმთ-ქურუმი. (თითქო რამემ დაგრგვინაფ.) არ მომწონს ეგ კილო, უშუყ!.. შიგ სიბრუნდვა. (სურათო მდგომარება ისეთათა თითქო რადსაც სსშინქეს და თან მეტათ სეგულისხმოს გამოქლანა. ბეგრს—მეთათბარეკებში—სხეზე ბარცტი დიმილი"დაქრის.)

უშუყ-ვეზირი. (მთლად დააკარგა). უცოდველო... ამ ბოლოს დროს ისეთმა... სიომ დაბერა, რომ... აი თუნდა დღევანდელი საკითხებიც...

ქურუმთ-ქურუმი. (სიტყვას ჩამაწათქვეს ვერ შეიქმენი გუნებაზე?!.. ჰმ... მეც ვხედავ, რომ ქარის შემოსასვლელი ხერელები ცუდათა გაქვს დაცული... სამწუხაროც ეგ არის!..

უშუყ-ვეზირი. უცოდველო! მაგას უნდა შენისთან- ძლიერი და ხელოვანი ხელი...

ქურუმთ-ქურუმი. არა, უშუყ! ვისაც პირველი ბურჯობა უნდა... ხედავ ამ საშინელ თაღებს?..

უშუყ-ვეზირი. ყველა ხომ შენის...

ქურუმთ-ქურუმა. კმარა! დრო მიდის სათათბირო საგნები!

უშუყ-ვეზირი. მთავრის ასულის ნაზიბროლას გათხოვება და თლის გარღვევა

ქურუმთ-ქურუმა. ჰმ.. თლის გარღვერა აღვილი ნათქვამია! მერე ვინ აპირებს ამას? ვისი აზრია? (სიჩუქი) იცით რა გითხრათ? არ მომწონს მე ეს ამბები?.. ჩემო გაზრდილო, დიდათ ვწუხვარ, რომ ჩემი წმინდა მოვალეობის გამო უნდა გისაყვედურო. შენი ბრალია. შენ აძლევ


ნებას ვილაც არა მკითხე მოამბეებს ზღაპრული რამ და მაშასადამე ბავშვური იქნება ნადადება შემოიტანოს სათათბიროში. როგორ იქნება! გულ-კეთილობა კარგი სამკაულია, მეტადრე დიდკაცებითვის, მაგრამ მაგასაც საზღვარი უნდა ქონდეს.

გულკეთილობას არ უნდა გადააყოლო საერთო კეთილ-დღეობა. სწორეთ ამიტომაც არის. რომ სახელმწიფოს უფროსობა, ერის მამობა დიდი საპასუხის-მგებლობა; დიდი სიღინჯე და გულ-გრილობა მართებს ხალხის უფროსსა. თუ ერთიც არის გრძობას აყვა, სასწორი მეტათ გადაიხრება რომელიმე ცალი მხრისაკენ და გამგებელი კი ცალ-მხრივი თავის დღეში არ უნდა იყოს. როს ბავში იყავ, ჩემო გაზრდილო, გასწავლიდი ამას, მაგრამ თან დაყოლილმა გულკეთილობამ მაინც დაგძლია. ხედავ სანამდის მოვალწიეთ!.. აი გუშინ მე გავიგე კიდევ, რომ ქორწინების თავისუფლება გადაგიწყვეტიათ... მე იცი, ჩემო გაზრდილო, რა საშინელი, სახიფათო ნაბიჯი გადაგიდგამს! ამ თავისუფლებით ცუდათ ისარგებლებენ. აღარ იქნება ნამდვილი შეუღლება, ცოლ-ქმრობა დამყარდება მხოლოდ წუთიერ გულის თქმაზე და მაშასადამე აღარ იქნება მტკიცე და მკვიდრი ოჯახიც, შეირყევა მისი წმინდა და სპეტაკი საფუძველი. და თუ შეირყა ოჯახის კერა, მაშინ შეირყევა სახელმწიფოც აი სადამდის მივალწიეთ! მე არა ვარ თანახმა, მე ვაცხადებ ჩემს გულის წყრომას...

რამდენიმე მცხოვანი. მართალი ხარ უცოდველო!

ქურუმთ-ქურუმა. შენ განა იცი, ჩემო გაზრდილო, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილთა რამდენი ძალა და ღონეა შიგ ჩარეული ჩვენს კანონებში? ისინი დიდის დაკვირვებისა და ცხოვრების გამოცდილების ნაყოფია. ასეთი მათი წარა-მარა გადასროლა შეუძლებელია...

ნაზი-ბროლა. კი მაგრამ ეხლა ცხოვ-



ქურუმთ-ქურუმა.. (მრისხანეთ.) უშუყ, გაფრთხილდი. შენ რალაც მიეთ-მო-თობ! ო, რა შევცდი, რომ შენს ვეზი-რობაზე დავთანხმდი!

მთავარი. შემოვიდნენ.

უშუყ-ვეზარი. (ცოტა დაცინვით.) მე მხოლოდ მთავრის ნებას ვასრულებ, უცოდველო!

ქურუმთ-ქურუმი. არა, მთავარო, შენ არ შემოაუშვებ მათ!

მთავარი. (ჟინიანათ, წყენით.) სიტყვა მივეცი, შემოაუშვით! (უშუყ-ვეზარი ანიშნებს. კარის კაცი გადის.)

ქურუმთ-ქურუმი. როგორ, შენც, ჩემო გაზრდილო?!.. აღარ მიჯერი?! (შემადაის ფაცხედა და კიდეც რამდენიმე მუშა. ესლას ჩაცმულები არიან.)

ფიცხელა. (მთავარს.) ჩვენ მოვედით. მხოლოდ ერთი პირობა: არც ერთს ჩვენგანს არ შეეხონ. შენ მოითხოვე— ჩვენც ვიტყვით ჩვენსას. მხოლოდ ხელ-უხლებელი უნდა ვიყვეთ ყველა ჩვენგანი..

მთავარი. მე ვარ თავმდები.

ქურუმთ-ქურუმა. არა, ეს სიზმარია! თვალს არ ვუჯერებ... (მუშებს.) რა გინდათ თქვენ აქ? რათ აწუხებთ ჩვენს კეთილ მთავარს? რა გაქვთ სათხოვარი?

ფიცხელა. ჩვენ არ ვაწუხებთ. ჩვენ არც არა გვინდა თქვენგან. არც არაფერი გვაქვს სათხოვარი. მხოლოდ თვით დავ-ვიბარა და მითხრა პირადათ მე აქ წარ-მომეთქვა ყოველივე, რასაც ვგრძნობთ მუშები, რაც გვიჭირს ჩვენა და რაც გვინდა ჩვენ მომავლისათვის!

ქურუმთ-ქურუმი. ხედავთ, რა ამაყები ყოფილან!—სათხოვარი არა გვაქვს-რაო! კარგი. მაშ ეგ თქვენ გინდათ თალის გარღვევა?

ფიცხელა. დიად, ჩვენ.

ქურუმთ-ქურუმა. ჰა, ჰა, ჰა!.. რა დიდებული აზრი მოგსვლიათ! მერე იცით რას ჩადით მაგითი?! ან რას შეიძენთ, ან რას იკლებთ?.. ეს სულ გატაცებულ

ოცნების ნაყოფია, სხვა არაფერი დახედეთ, რა გაკლიათ?! **ფიცხელა.** ჰმ, რა გვაკლია?!—პირველი მზე...

უშუყ-ვეზარი. (მუშებს) დააცალეთ.

ქურუმთ-ქურუმა. ჰო, მზე. მართალია, მზე გაკლიათ მაგრამ იცით რატომ არა გაქვთ ჯერ მზე? იცით როგორ ხელოვნურათ არის გაკეთებული ჩვენი მღვიმე და რატომ არის ეგრე?

ფიცხელა. ვიცით. ხავსისაგან შემდგარია მისი კედლები, მისგან არის შეკაწი-წებული.

ქურუმთ-ქურუმი (სისტიკათ.) ნუ გმობ, მდაბიო მონავ ხავსს. ხავსი სიმბოლოა ეს ბრძნულათ შექმნილის სახელმწიფოსი... **რამდენიმე მცხოვანი.** კურთხეულ იყოს!

ქურუმთ-ქურუმი (უფრო მშვიდათ.) მზე კი რათ გინდათ? იცით მისი სხივი რა მწვავია?! იცით, რომ შეუჩვეველ სხეულს მყის დახრუკავს მისი მცხუნვარე-ბა!.. აბა ვინ იტყვის, რომ მზე დიდებუ-ლი მანათობელი არ იყოს, ვინ იტყვის, რომ ერთ დროს ჩვენც არ დავგჭირდებამისი სინათლე!.. ეს თვით საქურუმო წიგნში გვიწერია! მზე უნდა ჩამოვეშვათ ერთ დროს. მე თვით ვემსახურებოდი ესოდენ ხანი ამ მისწრაფებას...

მუშები. ტყუილია! ნუ პირმოთნეობ!

ქურუმთ-ქურუმი. (დაიგრგვინებს.) ვინ ბედავს ჩემს შეურაცხყოფას! როგორ არ იცით, რომ მე მალლა ვდგევარ. მე თუ ტალახს მესვრიან, მე კი არ მომწვდება, თვით დაცემა ტალახის მსროლელს... ვინ ბედავს ეჭვი შემოიტანოს, რომ ჩემი ქვეყანა მე არ მიყვარდა... მე მას შეეწირე საუკეთესო ჩემი ძალა, აღფრთოვანება. ვიმეორებ მზე უნდა იქმნეს მეთქი, მაგრამ ერთათ კი არა; თორემ იგი დავაპრმა-ვებს თავის სიბრწყინვალით. მე მაქვს შედგენილი მშვენიერი გეგმა. იქ გამოან-გარიშებულია თუ სად და როგორ უნდა



იქმნეს გამოჭრილი თალი. როგორ თან-
დათან უნდა მოგვეფინოს მისი ნათელი.
მაგრამ მას დრო უნდა და გვაცალეთ
ჩვენ. ჩვენ ვზრუნავთ მაგისათვის და თავის
დროზე მზეც მოგვეცემათ.

ფიცხელა. არ გვინდა თქვენი ზრუნ-
ვა. აღარ გვინდა ჩვენ მზრუნველები და
გამდლები. ჩვენ თვით ვიცით, რაც
მოგვიხდება. მზის მცხუნვარების ჩვენ არ
გვეშინია. ჩვენ არ დავწვავს მისი სხი-
ბი. ეშინოდეთ მხოლოდ იმ ქვემძრომებს,
რომლებიც ხავსში ეხვევიან...

ქურუმთ-ქურუმი. (აღუდგება, შეფთავს)
ო, თავხედობა!

რამადენიმე მცხოვანი. გააგდეთ, გა-
აგდეთ!

მუშები. დააცალეთ, გაათავოს. სკერ-
თა ხრიალი).

ფიცხელა ეშინოდესთ მხოლოდ მათ,
ვისაც ჩაბნელებული აქვს, ჩვენ ღვიმესა-
ვით, თვისი საქმეები. ჩვენ არ გვეშინია
სინათლის. ჩვენ პირ-იქით გვინდა მზე,
მზე ცხოველი, რომ მართლებსა და და-
ჩაგრულებს გაგვინათლოს გზა ცხოვრები-
სა, უსამართლოთა და დამჩაგრელებს მარ-
თლაც მიაყენოს თავისი უწყალო მცხუნვა-
რება. ჩვენ აღარ მოვსტყუვდებით იმ გვე-
მებით, რომელსაც გვაწვდიან: აქა და აქ
ფანჯრები იქნებაო, ამდენსა და ამდენს
მისხალ სხივს ჩამოვუშვებთო. ჩვენ არ
გვინდა მისხლობით. ჩვენ მეწვრილობანი
არა ვართ. ან მთლად, ან სულ არა. მაშ
ძირს, ვინც ასეთ გვემებს გვაწვდის. ძირს
ამ კედლების ხავსი, ძირს ხავსიანები!

მუშები. ძირს, ძირს!

ერთ-ერთი მცხოვანთაგანი. ჩუმათ,
გაჩუმიდით. გაუმარჯოს ქურუმთ-ქურუმს!

სხვა მცხოვანებიც. გაუმარჯოს, გაუ-
მარჯოს!

ქურუმთ-ქურუმი (მეტის მეტა აღშოთ-
თებულად. დგება სვანძლეადან და ფეხით მი-
დის გასასვლელისაკენ) არა, მე აქ აღარ და-
მედგომება!

მუშ.ბა. (უსდგენს) ძირს, ძირს!
გვინდიხარ! შორს ჩვენგან!

მეორე მხარე ნუ ღრიალებთ, ჩუმათ,
გაჩუმიდით (აჩუქდება. შიშველიან ერთი-მეო-
რეზე. ქურუმთ-ქურუმი გაიხარება უსამლოთ.
ეველანა ფეხზე აწაან. მთავარიც ტახტადან
წამოდგება.)

მთავარი. გაჩერდით ერთი, გაჩერდით
მეთქი! (წინადადებას) როგორ არ გრცხვე-
ვისთ? აბა რა გაქვთ ასაშფოთებელი?

ბინდია. მან შეურაცხყო თვით უცოდ-
ველიც.

მუშები. სსს!

მეორე ხმა. ძირს!

მთავარი. გაჩუმიდით!.. ღმერთებო, ნუ
თუ არ შეიძლება ისე მოვიქცეთ, რომ
ორივე მხარე კმაყოფილი იყვეს, მაგათ
უნდა მზე ჩამოუშვან? დაე, ჩვენ ამითი
რა გვიშავდება?! საჩხუბარი აბა აქ რა
არის? ყველანი დამშვიდდეთ, ყველანი
დავწყნარდეთ, გავარღვიოთ თალი და ჩა-
მოუშვათ ეს მზე.

ზოგი მუშა. ოჰ, შენი ჭირიმე!

ფიცხელა. (სსსტაკათა გადახედვას) ჩუმათ!
მთავარო, ექვს გარეშეა, რომ კეთილი
კაცი ხარ, მაგრამ მარტო კეთილი სურ-
ვილებით არა იქნება-რა.

მეორე მხარე. ძირს, ძირს!

მთავარი. შეჩერდით! არ მოგწონთ ჩე-
მი აზრიც... (ცრემლეა ერთეულ) ჰოი, ღმერ-
თებო! რათ არ ძალ-მიძს, რომ ორივე
მხარე ერთად დავაკმაყოფილო და ყველა-
ნი კი ბედნიერნი იყვენ... (ტირის) აბა
რათ გინდათ ეს ჩხუბი და ერთი მეორის
სიძულვილი... აბა სადაური მთავარი ვარ
რა შემიძლია! მე ცალკე ვარ, ცხოვრება
ცალკე! (ტირის. ზაჟსა ეველას მოკრძალები-
თაა. თავს აადებს). კარგი. თალის შესახებ
საკითხავი გადამიღვია.

მეორე მხარე. (სხე გაუბრწყინდებათ)
ვაშა, ვაშა ბრძენ მთავარს.

(შემდეგი იქნება)

ნაკადული

წელიწადი მეშვიდე



ხელის-მოწერა მიიღება შურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში.

კალაგინის ზრასეკტზე ზუბაღაშვილის სახლში № 8. და წერაკითხვის გამავრც. საზოგადოების მდარბაზში, თაგ. აზნ. ქარვასდა)

1911 წლის 1-ლ იანვრიდან 1912 წლის 1-ლ იანვრამდე. წლიური ხელის-მომწერლებს მიეცემა: **24** წიგნი შურნალი ნაკადული მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი შურნალი ნაკადული მოზრდილთათვის. **36** სურათი, რომელიც ნაკადულის წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1911 годъ

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

„ЗАКАВКАЗЬЕ“

(годъ VI).

ПОДПИСНАЯ ЦЕНА:

Съ доставкой оъ Тифлисъ:

На годъ 6 руб. — коп.
На полгода . . . 3 руб. 50 коп.

Съ пересылкой на другіе города:

На годъ 8 руб. — коп.
На полгода . . . 4 руб. 50 коп.

За-границу вдвое.

Для годовыхъ подписчиковъ допускается разсрочка.

Адресъ редакціи: на Дворной ул. въ домѣ грузинскаго дворянства. Телефонъ редакціи № 917. Телефонъ редактора № 1035

Редакторъ М. В. МАЧАВЕЛИ.

Издатель Д. П. МАДЖАВАРИАНИ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1911 годъ на газету

„Закавказская Рѣчь“

Годъ изданія третій.

Главная контора изданія проситъ гг. подписчиковъ записаться на газету своевременно, чтобы можно было во время заготовить печатные адреса.

ПОДПИСНАЯ ЦЕНА

съ доставк. на домъ: Въ Тифлисъ Въ провинц.
На годъ 6 руб.—коп. 8 руб.—коп.
„ полгода 3 руб. 50 коп. 4 р. 50 к.
„ 3 мѣсяца 2 руб. — коп. 2 р. 25 к.
„ 1 мѣсяць — 70 коп. — 75 к.

Подписка принимается въ Тифлисъ, въ главной конторѣ газеты—на Эриванской площади, въ домѣ Харазовой, а также у всѣхъ казначеевъ и кассировъ казенныхъ и частныхъ учреждений—при чемъ казначей и кассиры получаютъ за труды 5 проц.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь“ Эриванская площадь, дому Харазовой.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ Р. Д. Бебиевъ.

Издатели:

{ Н. Д. Бебиевъ.
Кн. Г. И. Амираджиби.

Открыта подписка на 1911 годъ (XXXI-й годъ изданія)

на газету

„Тифлисскій Листокъ“

Газета будетъ выходить ежедневно, кромѣ понедѣльниковъ и дней послѣпраздничныхъ

Подписная цѣна: съ доставкой

въ Тифлисъ: На годъ — 5 р., на 6 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—1 р. 75 к.

Съ пересылкой для иногородныхъ:

На годъ—7 р., на 6 мѣс.—4 р., на 3 мѣс.—2 р. 50 к.

დაიბეჭდა და ამ მოკლე ხანში გამოვა

ი. ბ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს

ლექსები.

„ოცნების კოცნა“

გამოცემა ამხ. „სორაპნისა“. წიგნი შეიცავს 32 გვ. და ღირს 10 კაპ.

„ს ა ხ ა ლ ს ო კ ა ზ ე თ“



წელიწადი მეორე

ყოველდღიური საბოლიტიკო და სალიტერატურო
ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

დამატება გამოვა კვირაობით

კაზეთის ფასი დამატებინად: წლით, რეკონტ ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს
8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით — 4 მან. 80 კაპ., ერთი თვით — 80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლეელი ფასი 40 კაპ.

განწილება ფასისა: მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის
2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კ.

რედაქცია ღიაა 9—7 საათ.

Тифлисъ, р дакція „Сахалхотазети“.

საქალაქო სახატეზიანი შურნალი

„**ჯეჯილი**“

ოცდა მეორე წელიწადი

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში ედრება 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) 4 მან.

ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ფოსტის ადრესი: Въ Тифл. въ Редакц. Грузинскаго дѣтск. жур. „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის

სამეცნიერო—შედაგავიურს და სალიტერატურო ჟურნალს

„**ბანათლებაჟა**“

(წელიწადი მეოთხე)

ჟურნალი გამოვა ყოველ თვეში, გარდა ზაფხულის ორის თვისა, იმავე პროგრამით, როგორც ამდენხანს გამოდიოდა. ჟურნალი წლიურად ღირს გაგზავნით **სამი მანეთი**, ნახევარი წლით 2 მანეთი. სოფლის მასწავლებელთათვის წლიურად 2 მანეთი. ცალკე ნომრები გასასყიდად არსად არ გაიგზავნება. დაიბეჭდება იმდენი ცალი, რამდენიც ხელის მომწერნი იქნებიან. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში, პროვინციებში კერძო აგენტებთან.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская гимназія **Луарсабу**

Герасимовичу Боцвадзе